ეროვნული ბიბლიოთეკა


# თავისუფალი საქართველო

მრავალი მაგიდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

24 V 1991

№ 18 (23)




26 მაისი იმთავითვე გამორჩეულ დღედ იქცა XX საუკუნის საქართველოსთვის, როდესაც 1918 წელს ქვეყანამ სახელმწიფოებრიობა აღიდგინა. სრული სამი წელიწადიც არ გაგრძელდა საქართველოს ბედნიერი ყოფა. ქვეყანა ისევ ბნელმა მოიცვა. ორი ათეული წლის შემდეგ, როდესაც იმედის ნიშანწყალიც არსაიდან ჩანდა, განგებამ სწორედ ამ დღეს მოუვლინა ქართველ ხალხს კაცი, რომელსაც უნდა ელვაწა და ემარტვილა სამშობლოს გამოსახსნელად — საქართველოს ეროვნული გმირი, ერის სინდისი.

და აი, ახლა, საუკუნის ბოლო ათწლეულის დამდეგს, როდესაც სინათლე უკვე გამოჩნდა, 26 მაისს საქართველო პირველად ირჩევს თავის პრეზიდენტს.



საქართველოს მოსახლეობა ღირსეულ არჩევანს გააკეთებს, იგი არც აწლა შეცდება. წელს ამ დღეს ემთხვევა ქრისტიანული დიდი დღესასწაული — სულთმოფენობა. შემთხვევითი არაფერია სამყაროში და არც ეს არის უბრალო დამთხვევა.

სულიწმიდის გარდამოსვლის დღის მადლი შეგვეწიოს ყველას.





# დავრეკოთ ზარნი ცათა სასმენად!

1918 წლის 26 მაისია. სასახლის წინ უამრავ ხალხს მოუყრია თავი, 4 საათსა და 30 წუთზე ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით ეროვნული საბჭოს სხდომაა დანიშნული. „სეიმმა თავისი თავი დაშლილად გამოაცხადა და მისი ადგილი დაიჭირა საქართველოს ეროვნულმა საბჭომ, რომელმაც თავის პირველ ისტორიულ სხდომაზე სასახლის დარბაზში გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობა“ — გვაუწყებს გაზეთი „სახალხო საქმე“, წაიკითხეს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, აირჩიეს დროებითი მთავრობა. საქართველოს ულოცავენ უცხოელები, ქართველები ზეიმობენ. 5 საათსა და 40 წუთზე კრება დახურულად გამოაცხადეს, მაგრამ ხალხი არც დარბაზში და არც სასახლის გარეთ დაშლას არ ფიქრობდა. 28 მაისის გაზეთი აუწყებს ქართველებს ამ ისტორიულ მოვლენას: „ქართველ ხალხს ისტორიულად აქვს გადმოცემული მამაცობა, იგი უბრძოლველად თავის სამშობლოს არავის დაუთმობს. საჭიროა საქართველოს მთავრობამ ენერგიული ზომები მიიღოს და თოფ-ქვეშ დააყენოს იმდენი ძალა, რამდენიც საკმარისი იქნება საზღვრების დასაცავად და რამდენის წესიერ ორგანიზაციასაც შესძლებს ჩვენი ნორჩი სახელმწიფო“.

აღსრულდა საუკუნო ოცნება, მიღწეულია ნანატრი თავისუფლება, ზეიმობს ბორკილებაყრილი საქართველო.

„მწყურის აღვიდე მწვერვალზედ იალბუზისა და იქიდან ვასმინო გარემოს მთელსა ხმა ჩემის სიხარულისა. მინდა ვქუხდე, მინდა ვგრგვინავდე სივრცის მორევში, რომ ვაგრძნობინო ყოველსა მსმენელს სასწაულთა სასწაული — მკვდრეთით აღდგენა.

აღვმართოთ მთებზედ დროშა ქართლისა!

დავრეკოთ ზარნი ცათა სასმენად!

გაზაფხულის საზეიმოდ გაშლილ მკერდზედ აღვანთოთ კოცონი ნეტარებისა! მთიდან მოწვეტილ ამაყ არწივებს დავაბაროთ შორიდან შორად დღესასწაული ქართველი ერის!

ვერცხლად დავადნოთ მზის სხივები! სიტყვებად დავადნოთ იგი ვერცხლი და ვსთხზათ დიადი საგალობელი საქართველოს ახლად შობისა.

რწმენის უფსკრულში დამარხული ნატვრა, გლოვის ჰიმნად ქცეული ნატვრა, წამების ჯვარზედ გაკრული ნატვრა დღეს ხორცშესხმულა და წინ მიდგია თვალთა მჭრელ ქანდაკებად, ღვთაებრივ ქანდაკებად.

თვალთ არ ვუჯერებ ამ სინამდვილეს, აზრი ვერ სწვდება მის სისხეულეს. მაგრამ გულში ვგრძნობ სიხარულის ჰიაკოკონას და ბაგენი ჩემნი უწმინდეს ლოცვად იმეორებენ მხოლოდ ორ სიტყვას:

„თავისუფალი საქართველო!..“

დასწყვიტოს ჯაჭვი ამირანმა! შეირყენ საფლავად ერეკლე და მოურავი და მათ გვერდით განსვენებულ მამა-პაპათა ძვალნი! აბრწყინვლდნენ გვირგვინის ტოტნი თამარის თავზედ. შეაჩერონ დროის სიმძიმის ქვეშ რღვევა და ნგრევა ასწლოვან ტაძრებმა, ციხე-კოშკებმა, რადგან აღსრულდა დიადი საიდუმლოება.

— აღსდგა კვლავ საქართველო!

მოვიდრიკოთ მუხლი ლოცვად და ვედრებად! აღვსდგეთ ბრძოლად! შემოვკრბეთ შრომად, შემოქმედებად! დავსცეთ ყიჟინა სიცოცხლისა, სიხარულისა და წინ გავშალოთ ერთი დროშა, მაღალი დროშა:

— გაუმარჯოს საქართველოს!
ჩემი ნატვრა,
ჩემი სამშობლო,
საქართველო,
ქართული ენა,
აღსრულდა, აღსდგა!..
და ბაგეთა ჩემთა სწყდება
სასმენად ღვთისა:
— „აწ განუსვენე!“

ასე ავედრებდა ქართველი ღმერთს მის განახლებულ მამულს, თავისუფალ საქართველოს.

გავიდა ერთი მშფოთვარე წელი, დადგა გაზაფხული.

საქართველო დღესასწაულისათვის ემზადებოდა. „დღესასწაულის მოსამზადებლად იმართებოდა ხელოვნების კომისიის სხდომები ცნობილ მხატვართა, მუსიკოსთა და სხვა საჭირო პირთა თანდასწრებით და მუშავდებოდა პროგრამა და წესრიგი საქართველოს დამოუკიდებლობის წლისთავის აღსანიშნავად“ — წერს გაზეთი „სახალხო საქმე“ 1919 წლის 25 მაისს.

„...დილით კი მთელი ქალაქი მორთული იყო საქართველოს ეროვნული დროშით, ყვავილებით, ხალიჩებით. განსაკუთრებით ბევრი ხალხი მოგროვდა დილიდან სასახლის წინ და თავისუფლების მოედანზე. ყველანი სადღესასწაულოდ იყვნენ გამოწყობილნი და მხიარულნი ერთმანეთს ულოცავდნენ ამ იშვიათ დღეს. სახელმწიფო, საზოგადო, სავაჭრო და კერძო დაწესებულებანი ყველგან დაკეტილი იყო. შეწყვეტილი იყო აგრეთვე ტრამვაის მოძრაობა. ქუჩებში დაჰქროდა სადღესასწაულოდ მორთული ავტომობილები და ეტლები სხვადასხვა წარწერით: „გაუმარჯოს საქართველოს რესპუბლიკას“, „გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!“ (სახალხო საქმე, 1919 წ. 28. V).

სამხედრო ტაძარში პარტიარქმა ლეონიდემ სადღესასწაულო პარაკლისი გადაიხადა. ჩატარდა სამხედრო პარადი, რომელმაც ტაძრის გალავნიდან თავისუფლების მოედანზე გადაინაცვლა. ხალხს მიესალმა მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია. მთავრობის კორტეჟი გაემართა ვაკის სტადიონისაკენ, სადაც დღესასწაული ქართული ეროვნული ჰიმნით დაიწყო. დღესასწაულობდა ქართველი ხალხი და რა იცოდა, რომ წინ მხოლოდ ერთი დღესასწაული, მხოლოდ ერთი გაზაფხული იყო დარჩენილი. 1921 წლის სუსხიან ზამთარს, „იმ გზით, სად წინად ელავდნენ ხმლები, სად სამას გმირთა დაიფშვნა ძვლები, სად ქართლის დედის ცრემლით ნანამი, მძიმედ დაეშვა ჩვენი ალამი, სად გმირთა სისხლით ნაპოხიერი, თოვლს დაეფარა კრწანისის ველი, წითელი დროშით, მოღერილ ყელით, თეთრ ცხენზე მჯდომი, ნაბიჯით ნელით, შემოდიოდა სიკვდილის ცელით“...

ძნელად იპყრობდა სატანა ქართველის სულს, ილვრებოდა სისხლი, ბობოქრობდა ხალხი, არ ნებდებოდა, არ თმობდა თავისუფლებას, მაგრამ დაიღალა, თითქოს დანებდა, მიენდო დინებას, სატანა კი აღზევდა, ხალხი ჩაეფლო სიყალბის, სიხარბის, მლიქვნელობის ურწმუნოებისა და პირმავობის მორევში. თითქოს აღარავინ ოცნებობდა თავისუფლებაზე, თითქოს ყველა შეეჩვია აშმორებულ გუბეში ცხოვრებას...

26 მაისის ამოშანთვა ეწადათ ქართველი ხალხის მეხსიერებიდან. გარკვეული დროის მანძილზე თითქოს ახერხებდნენ კიდეც ამას. ეს დრო არც ისე მცირეა, 67 წელიწადს ითვლის. 1988 წლის 26 მაისს თბილისის ქუჩებში მღელვარება შეინიშნებოდა. 5 საათზე ქაშუეთის ეკლესიის ეზოში უნდა შეკრებილიყო საზოგადოება, მაგრამ მილიციამ ამის საშუალება არ მისცა. ოფიციალური, ე. ი. ნებადართული შეკრება ჟურნალისტის სახლში იყო დანიშნული, მაგრამ ერეკლეს მოედანზე იმდენი ხალხი მოგროვდა, რომ იძულებულნი გახდნენ „ბერიკონის“ კარი გაეღოთ, რათა ხალხი რომელიმე შენობისთვის შეეფარებინათ და ქუჩაში „წესრიგი“ დაემყარებინათ. ეს იყო მეტად მნიშვნელოვანი დღე, თუმცა კრიტიკულად განწყობილი მაშინაც ბევრი გამოჩნდა.

გავიდა მოვლენებით დატვირთული კიდევ ერთი წელი — ნოემბრის შიმშილობა, 25 თებერვალი, 9 აპრილი. 1989 წლის 26 მაისს თბილისის ცენტრალურ ქუჩაზე ხალხის ტევა აღარ იყო. სავსეა უნივერსიტეტის ეზო. აქ გაიმართა მიტინგი. შემდეგ ზღვა ხალხი ვაკის პარკისკენ გაეშურა. ჭავჭავაძის გამზირი მთლიანად დაიკავეს ფეხით მოსიარულეებმა. ზეაწეულ განწყობას ისიც ემატება, რომ ბატონ მერაბ კოსტავას 50 წელი შეუსრულდა. მაშინ არავინ იცოდა, რომ ეს მისი ბოლო გაზაფხული იყო.

კიდევ ერთი წელი გავიდა. დადგა 1990 წლის 26 მაისი. ამ დღეს ხალხი გაიყო. უფრო სწორად, ხალხს ჩამოსცილდა ერთი ნაწილი. 26 მაისის სახელობის სტადიონზე უკვე მხოლოდ ამ დღისთვის პატივის მისაგებად არ მიდიოდნენ, არამედ ნდობისა და ერთგულების გამოსახატავად. აქ გაისმა პირველად მრავლისმეტყველი სიტყვები — ქრისტეს გზით, თუ ბარაბას გზით.

წლევანდელ 26 მაისსაც საბედისწეროდ ჟღერს ეს სიტყვები, თუმცა საქართველომ თავის არჩევანი უკვე გააკეთა...

**ნანა დოლიძე**

# ქართული ვარიანტი

წინასაარჩევნო ციებ-ცხელებაა საქართველოში. დავა, კამათი, პაექრობა, ემოციები. ეს ხომ ყველაფერი ბუნებრივია. მეტიც, დასავლეთის ზოგიერთი ცივილიზებული ქვეყნისთვის სანიმუშოდ დარბაისლურად გამოჩნდებოდა წინასაარჩევნო კამპანია საქართველოში. იქ ქვას ქვაზე არ ტოვებენ პრეზიდენტობის მაძიებელნი და მათი მხარდამჭერნი, ერთმანეთის პირად ცხოვრებაში იქექებიან, სანთლით ეძებენ მაკომპრომეტირებელ ფაქტებს, კაი მაგარ-მაგარი გამოთქმებითაც ამკობენ ერთურთს. იქაური საზოგადოება ამას კარგა ხანია შეეგუა. როგორც ჩანს, ასეთი ამბები დემოკრატიის მონაპოვრად, ადამიანის პიროვნული თავისუფლების დასტურად აღიქმება. შესაძლოა, ჩვენ სხვაგვარად გვესმოდეს ერთიც და მეორეც, მაგრამ ამაზე სხვა დროს... ახლა ჩვენს თავს მივხედოთ.

და მაინც, რამდენიც არ უნდა ვამტკიცოთ, რომ საქართველოში მიმდინარე წინასაარჩევნო კამპანია ბუნებრივი გზით მიდის, არის ერთი მეტად ნიშანდობლივი მომენტი, რაც არსებითად განასხვავებს და გამოარჩევს პრეზიდენტობისთვის ბრძოლის ქართულ ვარიანტს ყველა სხვათაგან. თუმცა, პრეზიდენტობის კანდიდატი ექვსია, იქმნება სრული შთაბეჭდილება, რომ ერთ პიროვნებას ებრძვის და ექიშპება რაღაც ცოცხალი არსება, რომელსაც, უკაცრავად პასუხია, ხუთი თავი გამოუბამს. კაცმა რომ თქვას, არაფერი უცნაური ჩვენთვის ამაში არ არის. უბრალოდ, ახლა ბოლომდე გამომჟღავნდა, აშკარად გაცხადდა ის განწყობა, აზრი და დამოკიდებულება, რაც ჩვენი საზოგადოების წარმომადგენლებს, გარკვეულ წრეებს აქვთ ბატონი ზვიად გამსახურდიას მიმართ. ერთი საკითხია — ცუდია ეს თუ კარგი, მაგრამ სხვა არის, თუ რა მიზეზი აქვს ყოველივე ამას.

ჩვენის ფიქრით, ზვიად გამსახურდიას მიმართ არათუ კრიტიკულად, არამედ, პირდაპირ ვთქვათ, მტრულად განწყობილი ადამიანები სამ კატეგორიად შეიძლება დავაჯგუფოთ.

ერთ ნაწილს შეადგენენ ის ადამიანები, რომლებიც არც თუ შორეულ წარსულში ზვიად გამსახურდიას თანამებრძოლებად ითვლებოდნენ. „ფაშისტი“, „მანიაკი“, „სუკ-ის აგენტი“ — ასე მოიხსენიებენ დღეს ისინი ბატონ ზვიადს. ვისაც ერთხელ მაინც უნახავს მათი თავყრილობა, მოუსმენია ბოდვაში გადასული მათი აკვიატებული ფრაზები, შეძახილები „ჯვარს აცვით!“, თვალი შეუვლია, როგორ უნებურ კონვულსიებს მართებს მათ გამსახურდიას სახელის ხსენება, უთუოდ მიხვდება, რომ საქმე გვაქვს აშკარა ფსიქიკურ ანომალიასთან. სამწუხაროდ, ჩვენი ფსიქიატრიის დონე დღეს, მიზეზთა და მიზეზთა გამო, არც თუ მაღალია, სულით ავადმყოფს და შეურაცხადს კი ქილიკობა, თითით ჩვენება და, მით უმეტეს, ლანძღვა კი არ სჭირდება, არამედ სულის სალბუნი და, რაც მთავარია, კვალიფიციური სამედიცინო დახმარება. სჯობს საზოგადოებამ აქეთკენ მიმართოს საკუთარი ძალისხმევა, დიდი ძალა აქვს თანადგომას. მთლიანად თუ ვერ დავიხსნით ამ გასაცდელისაგან, შევუმსუბუქოთ მაინც ტანჯვა ამ ბედკრულ ადამიანებს.

უფრო მარტივად არის საქმის ვითარება მტრულად განწყობილთა მეორე კატეგორიასთან დაკავშირებით. არავითარ ფსიქოპათოლოგიურ ანომალიასთან აქ საქმე არა გვაქვს. ტოტალიტარულ რეჟიმს ჰყავდა თავისი რეკრუტები (გნებავთ სუკ-ის აგენტები უწოდეთ მათ, გნებავთ კრემლისა). მოგვწონს ჩვენ ეს თუ არა, ეს ხალხი თავის სამსახურეობრივ მოვალეობას ასრულებს, და უნდა ითქვას, რომ ასრულებს პირნათლად. ახლა ძნელი სათქმელია, რა აიძულებს მათ, რომ დღესაც ასეთი გულმოდგინებით განაგრძონ თავისი საქმიანობა. ალბათ, ნაწილი მათგანი შინაგანად იმდენად დისციპლინირებულია (რაც თავისთავად მხოლოდ ქების ღირსია), რომ მათ ვერც წარმოუდგენიათ ბოლომდე არ მიიტანონ ერთხელ წამოწყებული საქმე; ნაწილი ისეთი „შორსმჭვრეტელი“ ვერ გამოდგა, როგორც მათი ზოგიერთი კოლეგა, რომლებმაც ეროვნული ძალების გვერდით მოიკალათეს და, ახლა სხვებს მოძღვრავენ, როგორ უნდა ემსახურონ სამშობლოს. გარდა ამისა, არ არის გამორიცხული, რომ მაღალ ეშელონებში მომზადებული გეგმა სწორედ ძალთა ამგვარ განლაგებას გულისხმობს — ნაწილი ზვიად გამსახურდიას თავგამოდებული მეხოტბე უნდა იყოს, ნაწილი კი მოწინააღმდეგე. ერთიც ვთქვათ, ჩვენ ხომ არავითარი წარმოდგენა არა გვაქვს, როგორ უსწორდება ის უწყება საკუთარ რენეგატებს, ამ შემთხვევაში მათ მოქმედებას, ალბათ, შიში უდევს საფუძვლად.

ვფიქრობთ, და ამას სავსებით გულწრფელად მოგახსენებთ, ზვიად გამსახურდიას სამტროდ განწყობილ პიროვნებათაგან ყველაზე მძიმეა წარსულში პატიოსანი ადამიანების ამჟამინდელი მდგომარეობა.

იყო დრო, როდესაც ეს ადამიანები კეთილად უყურებდნენ ზვიად გამსახურდიას და იმ საქმეს, რასაც ის აკეთებდა. თანაუგრძნობდნენ მას, სიტყვებს არ იშურებდნენ მის საქებრად, ზოგჯერ საქმითაც წაადგებოდნენ ხოლმე, თუმცა ძალიან მცირედ. განა ეზარებოდათ, არა. არ სჯეროდათ, რომ რაიმე ნაყოფს გამოიღებდა ის საქმიანობა, რასაც ეს კაცი ეწეოდა რამდენიმე ადამიანთან ერთად. კეთილგონიერებად მოსჩანდა მაშინ, რომ კაცი, მეტადრე ნიჭიერი და განათლებული, შენს საქმეს არ მოსცდენოდი და ფუჭად არ გაგეფლანგა დრო და ენერგია. გამსახურდია კეთილ ღიმილს იწვევდა მათ ბაგეზე, მას უყურებდნენ, როგორც სიმპათიურ, მაგრამ უცნაურსა და ახირებულ ადამიანს, რომელიც ქარის წისქვილებს ებრძვის, ნაცვლად იმისა, რომ საქმეს მოჰკიდოს ხელი. როდესაც მისი მოღვაწეობის პრაქტიკულ უნაყოფობაზე იყო ხოლმე ლაპარაკი, კონტრარგუმენტად გაიგონებდით, რომ ამას ისტორიისათვის ექნებოდა მნიშვნელობა — მომავალში იტყვიან საქართველოში მაშინაც იბრძოდნენო. ეს იყო და ეს.

ნიშანდობლივია, რომ ამ თხუთმეტიოდე წლის წინ, როდესაც ზვიად გამსახურდიას პოპულარობა საქართველოში საკმაოდ გაიზარდა, ელიტარულ წრეებში ლაპარაკი დაიწყეს, რომ ის ხელმოცარულია, როგორც მეცნიერი და შემოქმედი. ისტორიულ ანალოგიებსაც იშველიებდნენ. საინტერესოა, მართლა სჯეროდათ, რასაც ამბობდნენ, თუ მაშინაც თავს იტყუებდნენ საკუთარი უმოქმედობის გასამართლებლად.

საერთოდ, იმ წლებში ძალიან გავრცელებული იყო სოლჟენიცინის ფორმულა — მონაწილეობა არ მიგვეღო ბოროტებაში. სინამდვილეში სოლჟენიცინს მიაჩნდა, რომ **უარეს** შემთხვევაში მონაწილეობა არ მიგვეღო **მაინც** საყოველთაო ბოროტებაში. ამ ორ ფორმულირებას შორის არის განსხვავება, რასაც სოლჟენიცინი საკუთარი ცხოვრებით ცხადყოფდა, ჩვენ კი ზნეობრივ მაქსიმად გავიხადეთ ელემენტარული ნორმა. მხოლოდ დრომ, წლებმა ცხადყო ვისი ცხოვრების წესი ყოფილა ერთადერთი ჭეშმარიტი და ვისი — მხოლოდ დასაშვები და მისაღები. ამ ჭეშმარიტებას კი თვალის გასწორება უნდა, რაც ბევრისთვის ძნელი ყოფილა. უფრო მარტივია სხვებიც დავარწმუნოთ და თავიც მოვიტყუოთ, რომ ზვიად გამსახურდია საქართველოს მტრობს, ან უკეთეს შემთხვევაში — ცუდი პოლიტიკოსია. ვუთხრათ სხვებსაც და საკუთარ თავსაც, რომ საქართველოში დღეს უფრო აუტანელია ცხოვრება, ვიდრე კომუნისტების თავაშვებული პარპაშის დროს.

ადრე ვთქვით და ახლაც გავიმეორებთ, რომ ამ ადამიანების მდგომარეობა დღეს მეტად მძიმეა. ისინი არც შიშის ტყვეობაში არიან, არც რაიმე სხვა მოვალეობისა. გავბედავთ და ვიტყვით, უმთავრესი, რაც მათ დღევანდელ გაბოროტებას ასაზრდოებს არის ა მ პ ა რ ტ ა ვ ნ ო ბ ა. ეს ადებინებს სავსებით უნაყოფო ზავს მათთვის ჯერ კიდევ გუშინ სულიერად სრულიად უცხო, ზნეობრივად მიუღებელ ადამიანებთან, ეს აბრმავებს და გამუდმებით აძებნინებს ბოროტს არა მხოლოდ ამჟამინდელი ხელისუფლების ქმედებაში, არამედ, რაც ყველაზე გულსატკენია, ქართველი ხალხის დღევანდელ მისწრაფებებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ორმაგი სტანდარტი

არაერთი ამერიკელი დამკვირვებელი, რომელიც თვალყურს ადევნებს საბჭოთა კავშირში ადამიანის უფლებების დარღვევას, მოსკოვის ცენტრალურ ხელისუფლებას სახავს, როგორც „მნიშვნელოვანი რეპრესირებისადმი განწყობილს“, რომელიც მცირე რესპუბლიკების დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვის ალსაკვეთად ტანკებსა და იარაღს იყენებს. მაგრამ არსებული მონაცემები მეტყველებს, რომ მიხეილ გორბაჩოვის ცენტრალური მთავრობა რიგი რესპუბლიკების ხელმძღვანელობასთან შედარებით, თავშეკავებულია. ვერ ამჩნევენ რა რესპუბლიკების მიერ ადამიანის უფლებების დარღვევას მათ ტერიტორიაზე მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობებთან და მათ მეზობლებთან დამოკიდებულებაში, აშშ-ს ცნობილი პოლიტიკური მოღვაწეები ორმაგ სტანდარტს იყენებენ და სსრკ-ში ძალადობის გავრცელების ალსაკვეთად ხელშეწყობის შესაძლებლობას უგულვებელყოფენ.

ბალტიის რესპუბლიკებში, საქართველოში და მოლდოვაში არაკომუნისტური მთავრობები სდევნიდნენ და ხოცავდნენ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებს, რომლებიც არ ეთანხმებოდნენ დამოუკიდებლობის მომხრე წამყვან მოძრაობებს. ბალტიის სახელმწიფოებმა 3 მილიონ რუსს, რომელიც მათ ტერიტორიაზე სახლობს, შეუზღუდეს ცხოვრების საშუალება და კვების პროდუქტების მიღების უფლება. გარდა ამისა, განიხილავენ მოქალაქეობის მიღების ძალზე მკაცრ წინაპირობებს (რაც შეიცავს ამ რესპუბლიკებში ცხოვრების მოთხოვნას 1940 წლამდე და ადგილობრივი ენების ცოდნას), რომელთა [illegible]ება რუსებისთვის მოქალაქეობის მიღების შესაძლებლობას, ფაქტობრივად, გამორიცხავს.

ლიტველები 1940 წლის მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტს, რომლის საფუძველზეც ლიტვა საბჭოთა კავშირს შეუერთდა, იურიდიული ძალის არმქონედ აცხადებენ. მაგრამ ამ პაქტის შედეგად მათ მიიღეს ტერიტორია, რომელიც პოლონეთს ეკუთვნოდა, ვილნიუსის, ლიტვის ახლანდელი დედაქალაქის, ჩათვლით. ვილნიუსში მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს ახლაც პოლონელები შეადგენენ და ამ ეროვნული უმცირესობის უფლებებს ლიტვის პარლამენტი არ სცნობს.

საქართველოში ზვიად გამსახურდიას მთავრობამ სამხრეთ ოსეთს შეუწყვიტა ელექტროენერგიის და სათბობის მიწოდება, რადგან სამხრეთ ოსეთის არაქართული მოსახლეობა საბჭოთა კავშირიდან გამოყოფის წინააღმდეგია. ოსები, რუსები და სომხები (მათ შორის ქალები, ბავშვები და მოხუცები, აგრეთვე ისინი, ვინც საავადმყოფოში წევს) სიცივისაგან, შიმშილისაგან იტანჯებიან და ბლოკადის შედეგად იღუპებიან. ათასობით ლტოლვილმა დატოვა სამხრეთ ოსეთი ქართველთა უმრავლესობის მხრიდან შევიწროების შიშით და ჩრდილოეთ ოსეთში გაემართა (ჩრდილო ოსეთი რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შედის).

მოლდოვაში თურქული მოდგმის ხალხი — გაგაუზები და დნესტრისპირეთის რუსული და უკრაინული მოსახლეობა გამოყოფის წინააღმდეგ გამოვიდა და თვითგამორკვევის მიზნით თავის ტერიტორიაზე არჩევნები ჩაატარა. ამის პასუხად მოლდოვას მთავრობამ (რომელშიც დაწინაურებული მდგომარეობა ნაციონალისტურ სახალხო ფრონტს უჭირავს) მოხალისეთა ფორმირებები შექმნა, რომ ეს რაიონები თავის კონტროლისთვის დაექვემდებარებინა ამან გამოიწვია შეტაკებები, რის შედეგადაც ორივე მხრიდან ხალხი დაიღუპა. აზერბაიჯანში აზერბაიჯანელები, რომლებიც მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ, სომხურ მოსახლეობას არბევდნენ და სომხეთს გაზი გადაუკეტეს, რომელიც მათი ტერიტორიის გავლით მიეწოდებოდა. სომხებმა, თავის მხრივ, აზერბაიჯანელები აიძულეს სომხეთიდან გაქცეულიყვნენ.

რესპუბლიკების ზოგიერთი ლიდერის გამონათქვამები მეტყველებს, რომ ისინი უგულვებელყოფენ უმცირესობათა უფლებებს; საქართველოს პრეზიდენტმა, რომელსაც ზოგჯერ „ქართველ მუსოლინის“ უწოდებენ, კომუნისტები დაადანაშაულა, რომ კონფლიქტი თბილისსა და სამხრეთ ოსეთს შორის მათი ინსპირირებულია და ქართველ ხალხს მოუწოდა „მოსპონ... ამოშანთონ“ კომუნისტები „გახურებული რვალით“. იგი აგრეთვე, იმუქრებოდა, რომ „გააძევებენ ყველა ვერაგ მტერს და არაქართველს, რომელმაც აქ ნახა თავშესაფარი“.

გორბაჩოვის დროს მოსკოვის მიერ რესპუბლიკების წინააღმდეგ განხორციელებული რეპრესიების შედეგად უფრო ცოტა ხალხი დაიღუპა, ვიდრე რესპუბლიკებში ეროვნებათშორისო და რესპუბლიკათშორისო შეტაკებებში. 1989 წელს საქართველოში ცენტრალური ხელისუფლების რეპრესიების შედეგად 20 ადამიანი დაიღუპა, ბალტიის სახელმწიფოებში მოსკოვის მიერ ძალის გამოყენებას ასევე 20 კაცის დაღუპვა მოჰყვა. მაგრამ აზერბაიჯანელების მიერ სომხების დარბევების დროს ასობით კაცი დაიღუპა და კიდევ ათასობით დაიღუპა აზერბაიჯანელების მხრიდან მთიანი ყარაბაღის ბლოკირების გამო. სულ ცოტა 50 კაცი დაიღუპა და ასობით დაიჭრა სამხრეთ ოსეთის მიმართ საქართველოს მიერ განხორციელებული რეპრესიების შედეგად. მოლდოვის მხრიდან გაგაუზების და დნესტრისპირეთის რაიონების მოსახლეობასთან ანგარიშსწორებას სულ მცირე 10 კაცის სიკვდილი მოჰყვა. 1990 წლის ნოემბერში ნამანგანში, უზბეკეთი, ნაციონალისტების ბრბო თავს დაესხა უიარაღო სამხედრო მოსამსახურეებს, ცემა და სამი მათგანი დაწვა, ამასთან ერთად, მოკლეს ორი სამოქალაქო პირი. საბჭოთა კავშირში ეროვნულ ნიადაგზე შეტაკებების შედეგად 700000 ლტოლვილი გაჩნდა, რომლებმაც მშობლიური კუთხე მიატოვეს და ქვეყნის სხვა რაიონებში გაიხიზნენ.

ჩვენ მოსკოვის მოქმედებაზე, თვალი არ უნდა დავხუჭოთ, მაგრამ უნდა დავგმოთ ადამიანის უფლებების დარღვევა იმისდა მიუხედავად, თუ ვინ სჩადის ამას. თუ რესპუბლიკებში არ უზრუნველყოფენ ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვას, დაქსაქსულ სსრკ-ში საფრთხე შეექმნება 60-70 მილიონ ადამიანს, რომლებიც ეროვნულ უმცირესობებს წარმოადგენენ.

რა შეუძლია აშშ-ს გააკეთოს? პირველ რიგში, ჩვენ უნდა დავაწესოთ ქცევის ნორმები იმ ძალებისთვის, რომლებსაც საბჭოთა კავშირში დასავლეთისგან ინვესტიციების ან დახმარების მიღება უნდათ, ნორმები, რომლებიც ითვალისწინებს ეროვნული უმცირესობების ფიზიკური უსაფრთხოების გარანტიებს, ადამიანის უფლებებს და თვითგამორკვევის უფლებას, მეორეც, რესპუბლიკებში ადამიანის უფლებების დაცვის მომხრეებს შეგვიძლია შევთავაზოთ ტრიბუნა დასავლეთში გამოსვლებისთვის, მესამეც, აშშ-ს მთავრობამ უნდა გაუწიოს ფინანსური და პოლიტიკური [illegible] საბჭოთა და დასავლეთ სპეციალისტებს, რომლებიც მუშაობენ სსრკ-ში ეროვნული კონფლიქტების მოგვარების პროგრამაზე, მეოთხეც, ჩვენ უნდა გამოვეხმაუროთ ისეთ უმცირესობებს, როგორიცაა გაგაუზები, რომლებიც ითხოვენ გაერო-ს მისიის ჩასვლას მათ რესპუბლიკაში ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტების შესამოწმებლად. დასასრულ, ფართო საზოგადოებრიობას უნდა ვამცნოთ ადამიანის უფლებების დარღვევის ყველა ცნობილი ფაქტი, რომელსაც მოსკოვი, რესპუბლიკები და უმცირესობები ჩაიდენენ.

რესპუბლიკებში ადამიანის უფლებების უკონტროლო დარღვევას შეიძლება მოჰყვეს სამოქალაქო ომი, რის შედეგადაც საბჭოთა კავშირში რეფორმებს ბოლო მოეღება და მილიონობით ლტოლვილი გაჩნდება. თუ ჩვენ მომავალშიც არ მივაქცევთ ყურადღებას რესპუბლიკებში ადამიანის უფლებების დარღვევას, წარმოიქმნება „ცივი ომის“ განახლების საშიშროება; მოსკოვის ზოგიერთი თანამდებობის პირი ისედაც უკვე მიიჩნევს, რომ აშშ-ს განცხადებები ადამიანის უფლებების დარღვევის თაობაზე ცალმხრივი და ფარისევლურია.

დადგა დრო ჩვენი დუმილი დავარღვიოთ. ჩვენ დავგმეთ წარსულში მოსკოვის „დიდი დიქტატორების“ მიერ ადამიანის უფლებების დარღვევა; მოდით, ახლა ყოველგვარი ყოყმანის გარეშე დავგმოთ რესპუბლიკებში „წვრილი დიქტატორების“ ანალოგიური მოქმედება.

**ასტრიდ ტუმიმესი,**
**„ქრისჩენ საიენს მონიტორ“, ბოსტონი.**

**(გადმობეჭდილია გაზეთიდან „ზარუბეჟომ“ № 20, 10-16 მაისი, 1991).**

# ორმაგი სტანდარტი თუ ორმაგი უსინდისობა?

**ჩვენს მიერ გადმობეჭდილი წერილის ავტორი, ქალბატონი ასტრიდ ტუმიმესი, გაზეთის ცნობით, ჰარვარდის უნივერსიტეტში ეწევა მეცნიერულ მოღვაწეობას, აქტიურად მონაწილეობს ამ უნივერსიტეტის პროგრამაში, რომლის მიზანია დემოკრატიული ინსტიტუტების დაკვირვება-გამოკვლევა. ქალბატონი ასტრიდი, ცხადია, ვერ ჩაითვლება შემთხვევით, არაკომპეტენტურ ადამიანად, მის აზრსა და რეკომენდაციებს, ალბათ, გარკვეული წონა აქვს შეერთებულ შტატებში, ყოველ შემთხვევაში, საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების თვალსაზრისით, ამიტომაც მის წერილზე ორიოდ სიტყვას მოგახსენებთ.**

რიგით ამერიკელ მოქალაქეს შეიძლება ჰგონია, — ის, რაც დღეს საბჭოთა კავშირში ხდება, ანალოგიურია ჩრდილოეთის და სამხრეთის შტატების ომისა, მაგრამ როგორ შეიძლება იმის წარმოდგენა, რომ სპეციალისტმა, იქნება ეს პოლიტოლოგი თუ ექსპერტი ადამიანის უფლებების დაცვის დარგში, არ იცის — საბჭოთა კავშირი ერთიანი სახელმწიფო კი არ არის, არამედ რუსეთის მიერ დაპყრობილი ქვეყნების ძალმომრეობითი გაერთიანება ანუ იმპერიაა; რასაკვირველია, სპეციალისტებმა ეს იციან, მაგრამ მაინც, ფაქტობრივად მხარს უჭერენ კრემლს. რა არის ამის მიზეზი?

ითვლება, რომ დასავლეთის პოზიცია საბჭოთა კავშირის რღვევის მიმართ ფრთხილია, მაგრამ სინამდვილეში — უარყოფითია. ამ პოზიციას, ალბათ, თავკერძი, ეგოისტური უნდა ეწოდოს, რადგან განპირობებულია საკუთარი ინტერესით, შიშით ტოტალიტარული ზესახელმწიფოს წინაშე. თავისთავად, ამგვარი პოზიცია ამორალურია და ამერიკელები არ შეიძლება ამას არ გრძნობდნენ, მით უმეტეს, რომ შეერთებული შტატები თავისუფლების, სამართლიანობის, დემოკრატიის დამცველია (როგორც აცხადებს) მთელს მსოფლიოში. და რადგანაც გრძნობენ, საკუთარი უზნეობის გამართლებას ცდილობენ ისევ და ისევ ზნეობრივი არგუმენტაციის მოშველიებით — დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი რესპუბლიკები, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობები არღვევენ ადამიანის უფლებებს, ქადაგებენ ნაციონალიზმს, ჩაგრავენ ეროვნულ უმცირესობებს, ამიტომ ჩვენ მათ არა თუ ვერ დავეხმარებით, არამედ, პირიქით, მათ წინააღმდეგ უფრო აქტიურად უნდა გამოვიდეთ და მხარი დავუჭიროთ „თავშეკავებულ“ გორბაჩოვს, რომელიც რეფორმებს ატარებს და სულაც, ნობელის პრემიის ლაურეატია! ასე იმშვიდებენ სინდისს ამერიკელები და „ალარ ახსენდებათ“ — „დემოკრატი“ გორბაჩოვი იმპერიის მმართველია!

ქალბატონ ასტრიდის წერილი დასავლეთის თვალთმაქცობის და უსინდისობის გასაოცარი მაგალითია. ავტორი ორმაგ სტანდარტზე ლაპარაკობს( ვითომცდა ამერიკელები მალზე მკაცრად აკრიტიკებენ კრემლს, რესპუბლიკებს კი არა) და არაფერს ამბობს იმ ორმაგ სტანდარტზე, რომელიც სინამდვილეში არსებობს — შეერთებულ შტატებს, მაგალითად, ბალტიის სახელმწიფოების ანექსია არასოდეს უცვნია, მაგრამ ლიტვასთან დიპლომატიური ურთიერთობა დღემდე არ დაუმყარებია, და ეს მაშინ, როცა პატარა ისლანდიამ უკვე ოფიციალურად აღიარა ლიტვის დამოუკიდებლობა!

ის, რასაც ქალბატონი ასტრიდი საქართველოზე წერს, კომენტარის ღირსად არ მიგვაჩნია და სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. ერთს ვიტყვით მხოლოდ — „პატივცემულო“ ჰანტურიებო, კლიმიაშვილებო და ყველანაირო „მოღვაწეებო“, გილოცავთ! თქვენი „გულიდან ამონაკვნესი“ მსოფლიომ აიტაცა (ბოსტონიდან მოსკოვამდე!), შორს გაუთქვით სახელი თქვენს სამშობლოს საქართველოს, ბარაქალა!

...თავისთავად ის ფაქტი, რომ წერილში დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი რესპუბლიკები (ბალტიის, მოლდოვა, საქართველო და სხვ). ერთ კონტექსტში მოიხსენიება, ერთნაირადაა დაგმობილი. მრავლისმთქმელია და ავტორის მიზანს აშკარავებს — უნდა თუ არ უნდა, ქალბატონი ასტრიდი იმპერიის ინტერესებს იცავს!

ირაკლი ლომოური

# ქურთი ხალხი ყოველთვის ქართველთა გვერდით იყო და იქნება

**რედაქციაში** გვესტუმრნენ ქურთული ფრონტის თავმჯდომარე, ბატონი რევაზ ბროევი და ამ ფრონტის საქართველოს განყოფილების გამგე, ბატონი ზაზა კალაშოვი. აი რა გვიამბეს მათ.

1989 წელს ქ. მოსკოვში შეიქმნა ქურთების კულტურული ცენტრი, რომლის ბაზაზეც 1990 წელს ჩამოყალიბდა პოლიტიკური პარტია — ქურთული ფრონტი „ერთობა“. ცენტრის გენერალური დირექტორია ბატონი ტარიელ ბროევი. ფრონტის თავმჯდომარე და საკავშირო გაზეთ „ქურთული ხმის“ მთავარი რედაქტორი კი ბატონი რევაზ ბროევი. ქურთული ფრონტის საქართველოს განყოფილებას ქთავკაცობს ბატონი ზაზა კალაშოვი.

კულტურული ცენტრი ფრონტთან ერთად მუხლჩაუხრელად იღვწის 9 რესპუბლიკაში მცხოვრები ქურთების გაერთიანებისათვის, მათი კულტურული დონის ამაღლებისათვის. ცენტრთან შექმნილია ვოკალური ანსამბლი „კანი“ (წყარო) ბატონ პაატა ამარიანის ხელმძღვანელობით, ხოლო თბილისის ვაჭრობის მუშაკთა კულტურის სახლთან უკვე 10 წელია არსებობს ქურთული სახალხო თეატრი, რომლის უცვლელი სამხატვრო ხელმძღვანელი და რეჟისორია ბატონი მურაზ ჯაფაროვი (მრაზე უზო ჯაური).

დაგვეთანხმებით, ალბათ, რომ დღეს, თავისუფლების მოპოვების მეტად ძნელ გზაზე შემდგარ საქართველოს დიახაც სჭირდება მის მიწა-წყალზე მცხოვრებ სხვა ერთა თანადგომა და რაოდენ სასიამოვნო იყო, როდესაც შევიტყვეთ, რომ ამ ადამიანების სტუმრობის მიზეზიც სწორედ ეს ყოფილა.

განსაკუთრებული სითბოთი და სიყვარულით ილაპარაკეს ჩვენმა სტუმრებმა იმაზე, რომ საბჭოეთში გაფანტულ ქურთთა ნორმალური ცხოვრების, განათლებისა და კულტურული დონის ამაღლებისათვის ყველაზე უკეთესი პირობები სწორედ საქართველოში ყოფილა შექმნილი. საქართველოში მცხოვრები არცერთი ქურთი არასოდეს დაივიწყებს ამას და ქართველთა ჭირისა და ლხინის გამზიარებელი იქნება მუდამ.

სულით ხორცამდე შეგვძრა საქართველოში მომხდარმა მიწისძვრამ, ბრძანეს ჩვენმა სტუმრებმა, სამძიმარიც მოვწერეთ რესპუბლიკის პრეზიდენტს, ბატონ ზვიად გამსახურდიას, მაგრამ გვინდოდა ჩვენი მოკრძალებული წვლილიც ყოფილიყო მიწისძვრით დაზარალებულთა დახმარების ფონდში და ამიტომ გადავწყვიტეთ გავვემართა საქველმოქმედო კონცერტი, რომლის შემოსავალი (940 მან) გადავრიცხეთ თბილისის ბინსოცბანკის ანგარიშზე. ამას მიემატება ის თანხაც, რომელსაც მოსკოვში არსებული ქურთების კულტურული ცენტრი, სულ მალე გადმორიცხავს მიწისძვრით დაზარალებული რაიონების დასახმარებლად.

დასასრულ ბატონმა რევაზ ბროევმა და ბატონმა ზაზა კალაშოვმა ბედნიერება უსურვეს საქართველოს და ქართველ ერს — ქურთათმენი ყოველთვის სწყეოდათ ქართველებს და იმედი გვაქვს, ახლაც გაუძლებთ თავსდატეხილ უბედურებას. [illegible] მიზანს — საქართველოს [illegible]დებლობას რომ მიაღწევთ [illegible] ეჭვი არ გვეპარება, რადგან [illegible] გზა თქვენი ბრძოლისა. ჩვენი თანადგომის იმედი კი ნუ მოგეშლებათ ღმერთმა. ქურთი ხალხი ყოველთვის იყო და იქნება ქართველთა გვერდით.

მადლობის მეტი რა გვეთქმის, მალამოსავით დაედო სულს ქურთ ძმათა თანადგომა. ჩვენი თანადგომაც ნუ მოშლოდეთ, დღეს მათაც უჭირთ. ისინიც იბრძვიან და ღმერთმა ინებოს მათი გამარჯვება.



**დასავლეთ** ევროპის მეცნიერულ პოლიტოლოგიას ამშვენებს არაერთი ჩვენი თანამემამულის სახელი. წინამდებარე წერილში ქართველ მკითხველებს წარმოვუდგენთ განსაკუთრებული ავტორიტეტის მქონე, საერთაშორისო მასშტაბის რამდენიმე ქართველი პოლიტოლოგის მოღვაწეობას.

ლევან ურუშაძე

# დასავლეთის ქართველი პოლიტოლოგები

**ნიკო ნაკაშიძე (1899-1966).** დაიბადა 1899 წელს ქუთაისში, გურული თავადის ოჯახში. 1918 წელს დაასრულა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია, სადაც 1916 წლიდან ხელმძღვანელობდა კლასიკური და ქართული სათავადაზნაურო გიმნაზიების მოწაფეთაგან შემდგარ ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატთა ორგანიზაციას. იმავდროულად უძღვებოდა გიმნაზიის მოსწავლეთა ლიტერატურული წრის მუშაობას. 1917 წლიდან იგი შედის უკვე ოფიციალურად დაარსებულ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადებისთანავე ნ. ნაკაშიძე ქართულ ეროვნულ არმიაში შევიდა. არმიაში ირიცხებოდა იგი რესპუბლიკის არსებობის უკანასკნელ დღემდე. რუსეთ-საქართველოს 1921 წლის თებერვალ-მარტის ომის დაწყების დროისათვის მინიჭებული ჰქონდა კაპიტნის სამხედრო წოდება.

საქართველოს ოკუპაცია-ანექსიის შემდეგ ნ. ნაკაშიძემ თავი დაანება სამხედრო სამსახურს და მშობლიურ ქუთაისს დაუბრუნდა. აქ იგი არალეგალურ მუშაობაში ჩაება — არჩეულ იქნა საქართველოს ინტერპარტიული კომიტეტის (ე. წ. დამკომის) ქუთაისის საქალაქო კომიტეტისა და მისი სამხედრო კომისიის წევრად. 1923 წელს კომიტეტის სხვა წევრებთან ერთად ისიც დააპატიმრეს და თბილისში, მეტეხის ციხეში გადააგზავნეს. საბოლოოდ 64 სხვა პოლიტპატიმართან ერთად უცხოეთში გასახლება მიუსაჯეს. ამ ჯგუფში მასთან ერთად იყვნენ შემდგომში ცნობილი სასულიერო მოღვაწე არქიმანდრიტი რაფიელ ივანიცკი-ინგილო, შემდგომში თვალსაჩინო მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, პროფესორი გიორგი ნაკაშიძე, ამერიკის ქართული სათვისტომოს ერთ-ერთი ფუძემდებელი დავით სილიბაშვილი და სხვანი.

1924 წლის დამდეგს ნიკო ნაკაშიძე გერმანიაში გაიხიზნა, სადაც 20-იანი წლების დამლევს წარჩინებით, დოქტორის ხარისხით დაასრულა ბერლინის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საერთაშორისო სამართლის დარგი.

20-იანი წლების შუა ხანებიდან სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე აქტიურ პოლიტიკურ და პუბლიცისტურ მოღვაწეობას ეწეოდა. იყო როგორც ქართული ემიგრანტული პრესის, ისე დასავლეთ ევროპის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ბეჭდვითი ორგანოების მუდმივი თანამშრომელი. მას ეკუთვნის სოვეტოლოგიის, საბჭოთა იმპერიის ჩაგრულ ერთა მდგომარეობის საკითხებზე შექმნილი არაერთი საყურადღებო სტატია.

ჩვენი თანამემამულე იყო ანტიბოლშევიკური კონგრესების, პოლიტოლოგ-სოვეტოლოგთა ფორუმების მუდმივი მონაწილე და ორგანიზატორი. სწორედ მისი თაოსნობით 40-იან წლებში შეიქმნა მსოფლიო პოლიტიკური გაერთიანება „ანტიბოლშევიკ ერთა ბლოკი"-ს სახელწოდებით. ბლოკის პირველი და უცვლელი გენერალური მდივანი ორი ათეული წლის მანძილზე იყო ნიკო ნაკაშიძე. ეს გახლავთ ორგანიზაცია, რომელსაც ფილიალები აქვს მსოფლიოს რამდენიმე ათეულ ქვეყანაში. „ანტიბოლშევიკ ერთა ბლოკი" იმთავითვე იქცა სოვეტოლოგიის დარგის ერთ-ერთ უმთავრეს ცენტრად.

გარდა ამისა, ნ. ნაკაშიძე ეწეოდა ნაყოფიერ მოღვაწეობას, როგორც გერმანიის ქართველთა სათვისტომოს თავმჯდომარე.

გარდაიცვალა 67 წლის ასაკში, 1966 წელს. გერმანიის ქართველთა სათვისტომოს თანაგრძნობა გამოუცხადა მსოფლიოს არაერთმა ორგანიზაციამ. მიღებულ იქნა სამძიმრის დეპეშები და წერილები: დასავლეთ გერმანიის რადიო „კიოლნი"-დან, ასოციაცია „დერ ქრისტლიხე ოსტენ"-ისაგან, სლოვაკიის ეროვნული საბჭოსაგან, აღმოსავლეთ პრუსიის პარლამენტისაგან, ბუნდესტაგის დეპუტატთა ჯგუფისაგან, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციისაგან, სოციალურ საკითხთა საერთაშორისო კომიტეტისაგან, ევროპა-იუნიონისაგან, სტალინიზმის მსხვერპლთა კავშირისაგან, ევროპის საბჭოსაგან, ესტონეთის მთავრობის ყოფილი თავმჯდომარისაგან, ბავარიის მინისტრთა კაბინეტისაგან, მცირე ერთა საკითხების შემსწავლელი ინსტიტუტისაგან, მიუნხენის აღმოსავლეთ ევროპისა და საბჭოთა კავშირის შემსწავლელი ინსტიტუტისაგან, უკრაინელთა და ბელორუსთა ეროვნული საბჭოებისაგან, პრინც ტისოსგან, პროფესორ ფონ ფრიდენბურგისაგან, პროფესორ ლეო მაგნინოსაგან, პრინც ლუი დე ორლეან ე ბრაგანცასაგან, ბატონიშვილ ირაკლი ბაგრატიონისაგან...

განისვენებს ნიკო ნაკაშიძე საფრანგეთში, ლევილის ქართველთა სასაფლაოზე.

**მიხეილ ახმეტელი (1895-1963).** დაიბადა 1895 წელს კახეთში, თელავის მაზრაში. 1914 წელს დაასრულა თბილისის ქართული სათავადაზნაურო გიმნაზია. 1915-1917 წლებში სწავლობდა ხარკოვის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე. 1917 წლიდან აქტიურად იყო ჩაბმული საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. 1919 წლის დამლევს სწავლის გასაგრძელებლად გაგზავნილ იქნა გერმანიაში, სადაც 1924 წელს დაამთავრა იენის ფრიდრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტი. მცირე ხნის შემდეგ იმავე უნივერსიტეტში მოიპოვა დოქტორის ხარისხი. 1925 წლიდან იგი შეუდგა აგრარულ მეცნიერებათა შესწავლას.

1927 წელს მიხ. ახმეტელი აირჩიეს ბრესლაუს აღმოსავლეთ ევროპის შემსწავლელი ინსტიტუტის ნამდვილ წევრად და აქტიურად შეუდგა აღმოსავლეთ ევროპის და საბჭოთა იმპერიის აგრარული პოლიტიკის შესწავლას. მომდევნო წელს აგრარულ მეცნიერებათა განხრითაც მოიპოვა მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. იმავდროულად იგი აქტიურად სწავლობდა ბოლშევიზმის საშინაო და საგარეო პოლიტიკურ საკითხებს, დაპყრობილ ერთა მდგომარეობას საბჭოთა კავშირში.

1934 წლიდან მიხეილ ახმეტელი გახლდათ ბრესლაუს უნივერსიტეტის ჯერ ექსტრაორდინარული, შემდეგ კი ორდინარული პროფესორი. კითხულობდა ლექციების კურსს საბჭოთა რუსეთის პოლიტიკის სხვადასხვა საკითხებზე. 1935 წლიდან მასვე დაევალა პარალელურად სახალხო მეურნეობის ორგანიზაციისა და ფინანსების კურსის გაძღოლა.

1937 წელს ჩვენი თანამემამულე დანიშნეს ბრესლაუს აღმოსავლეთ ევროპის ინსტიტუტის დირექტორად, ინსტიტუტისა, რომელიც გახლდათ სოვეტოლოგიისა და პოლიტოლოგიის ერთ-ერთი უმთავრესი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი გერმანიაში. პარალელურად 30-იანი წლების მიწურულს იგი მიიწვიეს ბერლინის უნივერსიტეტის ორდინარულ პროფესორად. აღნიშნულ სასწავლებელში იგი უძღვებოდა საბჭოთა აგრარული პოლიტიკის კურსს.

პროფესორ მიხეილ ახმეტელს ეკუთვნის ასამდე სტატია, აგრეთვე 5 სქელტანიანი ფუნდამენტური მონოგრაფია საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის აგრარული პოლიტიკის, საბჭოთა კავშირის ჩაგრულ ერთა პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის შესახებ.

დასავლეთის მთელს პოლიტოლოგიურ სამყაროში ფართოდაა ცნობილი და დღესაც ერთ-ერთ სამაგიდო წიგნს წარმოადგენს მისი 300-გვერდიანი მონოგრაფია „აგრარული პოლიტიკა საბჭოთა კავშირში და მისი შედეგები" (გამოიცა ბერლინში 40-იანი წლების დამდეგს). მასში ავტორი ამტკიცებს საბჭოთა აგრარული იმპერიული პოლიტიკის სრული ფიასკოს გარდუვალობას, იძლევა საბჭოთა მძარცველური აგრარული პოლიტიკის თითქმის ყველა სფეროს განვითარების დეტალურ ანალიზსა და ამ პოლიტიკური კურსის იმჟამინდელსა და მომავალ შედეგებს. იმპერიაში ამჟამად შექმნილი ვითარება ცხადჰყოფს ქართველი სწავლულის პროგნოზებისა და დასკვნების უდიდესი ნაწილის სრულ ჭეშმარიტებას.

აღსანიშნავია, რომ 40-იანი წლების დამდეგს პროფესორების ალექსანდრე ნიკურაძისა და მიხეილ ახმეტელის თაოსნობითა და აქტიური მონაწილეობით ბერლინში შეიქმნა აღმოსავლეთ ევროპისა და საბჭოთა კავშირის შემსწავლელი მსხვილი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, რომელსაც ომის დამთავრებამდე სწორედ ჩვენი თანამემამულენი ხელმძღვანელობდნენ. მოგვიანებით მიხ. ახმეტელი იყო ანალოგიური ინსტიტუტის ერთ-ერთი დამაარსებელი მიუნხენში.

ნიშანდობლივია ისიც, რომ მიხ. ახმეტელი ითვლება გერმანელ სოვეტოლოგთა განთქმული სამეცნიერო სკოლის ერთ-ერთ ფუძემდებლად.

გარდა სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობისა, იგი ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას: არჩეული იყო გერმანიის ქართველთა სათვისტომოს გამგეობის წევრად, „ანტიბოლშევიკ ერთა ბლოკი"-ს ცენტრალური კომიტეტისა და არაერთი სამეცნიერო საზოგადოების წევრად.

გარდაცვალებამდე მ. ახმეტელი ასრულებდა მიუნხენის უნივერსიტეტის პროფესორისა და საბჭოთა კავშირის შემსწავლელი ინსტიტუტის კონსულტანტის მოვალეობას. გარდაიცვალა იგი 68 წლის ასაკში, 1963 წელს. დაკრძალულია მიუნხენის სასაფლაოზე.

**მარკოზ ტუღუში (1900-1971).** დაიბადა 1900 წელს გურიაში. გიმნაზიის დასრულების შემდეგ, 1920 წელს სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე, რომლის დასრულება ვერ შეძლო ემიგრაციაში წასვლის გამო. იმავე 1920 წლიდან იგი იყო საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა პარტიისა და მისი ახალგაზრდული ორგანიზაციის აქტიური წევრი.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაცია-ანექსიის შემდეგ მ. ტუღუში ეწეოდა არალეგალურ პოლიტიკურ მოღვაწეობას: იყო მემარჯვენე ფედერალისტთა ორგანიზაციისა და ახალგაზრდა მემარჯვენე ფედერალისტთა ჟურნალის „მებრძოლთა ხმის" სარედაქციო კოლეგიის წევრი, რის გამოც 1922 წელს დააპატიმრეს. მეტეხის ციხიდან თავის დაღწევის შემდეგ, 1923 წლის დამლევს იძულებული გახდა დაეტოვებინა სამშობლო. აქ დარჩა მას მეუღლე — ოლღა (ოლია) ტუღუში (შემდგომში ქართული საბიბლიოთეკო საქმის თვალსაჩინო მოღვაწე და პედაგოგი, საქართველოს საპატიო და დამსახურებული ბიბლიოთეკარი. გარდაიცვალა ამ ათიოდე წლის წინ) და მცირეწლოვანი ვაჟი, რომელიც პატარაობისას გარდაიცვალა. აღსანიშნავია, რომ მ. ტუღუშის ქვისლი გახლდათ „ცისფერყანწელთა" ორდენის თვალსაჩინო წევრი, ცნობილი ქართველი პოეტი შალვა აფხაიძე.

მომავალმა სწავლულმა ჯერ საფრანგეთს მიაშურა, შემდეგ ემილ ვანდერველდეს და დებრუკერის დახმარებით ბელგიაში გადავიდა, სადაც 20-იანი წლების დამლევს წარჩინებით დაასრულა ბრიუსელის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. მცირე ხნის შემდეგ მას მიენიჭა ამავე უნივერსიტეტის დოქტორის სამეცნიერო ხარისხი პოლიტოლოგიის დარგში.

1930-იანი წლების დამდეგიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ჩვენი თანამემამულე გახლდათ ემილ ვანდერველდეს სახელობის ცნობილი ინსტიტუტის მთავარი ბიბლიოგრაფი. პარალელურად პოლიტოლოგია-სოვეტოლოგიის საკითხებზე ლექციებს კითხულობდა ბელგიის წამყვან უმაღლეს სასწავლებლებში.

სწავლული აქტიურად თანამშრომლობდა როგორც ქართულ ემიგრანტულ გამოცემებში (ჟ. „კავკასიონი", გაზ. „საქართველო" და ა. შ.), ისე ბელგიისა და საფრანგეთის სამეცნიერო პრესასა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანოებში.

მის კალამს ეკუთვნის ფრანგულ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე გამოქვეყნებული რამდენიმე ათეული სტატია და 5 მონოგრაფია საბჭოთა კავშირის საშინაო და საგარეო პოლიტიკის, საბჭოთა ეროვნული პოლიტიკის, დაპყრობილ ერთა, პირველყოვლისა კი საქართველოს მდგომარეობის სხვადასხვა პრობლემებზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია სოვეტოლოგთა წრეებში ფართოდ ცნობილი ფუნდამენტური მონოგრაფია საბჭოთა კავშირის ეროვნული პოლიტიკის შესახებ („სსსრ ფას ო პრობლემ დე ნასიონალიტე"), რომელიც 1946 წელს ბრიუსელში გამოსცა გამომცემლობა „ედისიონ სოლედ"-მა. ამ წიგნმა ფართო გამოხმაურება ჰპოვა მთელს მსოფლიოში და მოკლე დროში ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა.

გარდა წმინდა სამეცნიერო პრესისა, პროფ. მარკოზ ტუღუში იყო ბელგიური გაზეთების „ლა ნასიონ ბელჟ"-ისა და „ლე პეპლ"-ის მუდმივი თანამშრომელი.

აღსანიშნავია, რომ 1950 წელს მ. ტუღუშმა ბრიუსელში დააარსა აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპიდან ემიგრირებულთა პოლიტოლოგიური ჟურნალი „პრო ევროპა", რომელსაც „მარკ იბერი"-ს ფსევდონიმით ორი წლის მანძილზე თავად რედაქტორობდა. ხსენებულ ჟურნალში გამოქვეყნებულია მისი სტატიების სერია საბჭოთა კავშირის ეროვნული პოლიტიკის საჭირბოროტო საკითხებზე, საქართველოს იმჟამინდელ პრობლემებზე.

აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს მარკოზ ტუღუშის შესანიშნავი გამოსვლები ე. წ. „ქართული ეროვნული საბჭო"-ს მეორე სესიაზე (1952 წლის ოქტომბერი).

ხსენებულ ეროვნულ საბჭოსთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს შემდეგი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სოციალ-დემოკრატიული მთავრობის ემიგრირებიდან კარგა ხნის შემდეგ სავსებით გამჟღავნდა ქართველ სოციალ-დემოკრატთა რუსოფილური მიდრეკილებანი. მხედველობაში გვაქვს ვისბადენისა და შემდეგ მიუნხენის მოლაპარაკებანი, რომელთაც აწარმოებდნენ რუსული და არარუსული პოლიტიკური დაჯგუფებანი. პირველი შედგა 50-იანი წლების დამდეგს ვისბადენში, ხოლო მეორე — მიუნხენისა და 1953 წლის ოქტომბერში.

ვისბადენში რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ლიდერებმა დაადასტურეს, რომ რუსებისა და ნაცუმცირესობათა მიერ უნდა შედგენილიყო რუსეთის ყოფილი დროებითი საბჭოს სტრუქტურის მქონე ორგანო, რომელიც მიიღებდა ემიგრანტული „პრედპარლამენტი"-ს სახეს, რაღა თქმა უნდა, რუსული ძალების აშკარა ჰეგემონიითა და წამყვანი როლით. ამ საბჭოში წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო ნაცუმცირესობათა საბჭოებიც. ერთ-ერთი ამგვარი ნაციონალური საბჭო გახლავთ სწორედ საფრანგეთში დღემდე მოქმედი „ქართული ეროვნული საბჭო", შექმნილი ქართველი სოციალ-დემოკრატების თაოსნობით ვისბადენის შეხვედრის დასრულებისთანავე. ამით მოხდა საქართველოში 1917-1919 წლებში მოქმედი ანალოგიური საბჭოს რესტავრაცია. ქართული ემიგრაციის არასოციალისტური პოლიტიკური ძალებისათვის, აგრეთვე სოციალ-ფედერალისტთა პარტიის შემადგენლობის მნიშვნელოვანი ნაწილისათვის სავსებით ცხადი იყო, რომ ამგვარ პოლიტიკურ სარბიელზე გამოსვლა, ამგვარ, აშკარად რუსულ პოლიტიკურ ბლოკში მოღვაწეობა ნიშნავდა რუსეთის თებერვლის რევოლუციის დროშის ქვეშ გაერთიანებას და ველიკორუსული განუყოფლობის იდეის ხელახალ აღორძინებას. ეს ტენდენცია 1953 წლის ოქტომბერში საბოლოოდ დაადასტურა მიუნხენის შეთანხმებამ, რომელიც ოფიციალურად აღიარებდა მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის თებერვლის რევოლუციის დროინდელი მმართველობის სტრუქტურებს და კატეგორიულად უარყოფდა ყოველგვარი სხვა სახის რესტავრაციას. ქართველი სოციალ-დემოკრატები ამჯერადაც „მოწოდების სიმაღლეზე" აღმოჩნდნენ: „ქართული ეროვნული საბჭო"-ს წარმომადგენლებმა თანხმობა განაცხადეს მიუნხენში დაარსებული „საკოორდინაციო ცენტრი"-ს შემადგენლობაში შესვლაზე და ხელი მოაწერეს საბოლოო დოკუმენტს.

სწორედ ამგვარი ეროვნული საბჭოს მეორე სესიაზე რამდენიმეგზის მოუხდა გამოსვლა მარკოზ ტუღუშს.

სესიის პირველივე სხდომაზე მან გადაჭრით გაილაშქრა ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის იმ მავნე ტენდენციის წინააღმდეგ, რომელსაც რუსულ ნაციონალისტურ ძალებთან შეკვრა და თანამშრომლობა ჰქვია.

„ბატონებო! პოლიტიკური მუშაობის მთავარი საფუძველი დამყარებულია ორ მთავარ პირობაზე: მიზანი და ბრძოლის თავიდანვე სწორ ნიადაგზე დაყენება. თავიდანვე უნდა ვიცოდეთ ვინ შეიძლება იყოს ჩვენი ბუნებრივი მოკავშირე და თანამებრძოლი და ვინ არის და უეჭველად დარჩება ჩვენი შეურიგებელი მოწინააღმდეგე... საქართველოს სუვერენობის აღდგენის განხორციელებისათვის საჭირო ბრძოლის დროს, ჩვენი მოკავშირენი იქნებიან მხოლოდ ჩვენს დღეში მყოფი ერები და ჩვენი გააფთრებული მტერი არის და იქნება რუსის პოლიტიკური ძალა, რა ფერისაც არ უნდა იყოს ის. მაშასადამე, ის ხაზი, რომელსაც ჩვენ მივყავართ რუსის პოლიტიკურ ძალებთან თანამშრომლობისაკენ, თუნდაც ანტიბოლშევიკურ საერთო ფრონტის ქურქში გახვეულთან, წინდაწინვე უარყოფით მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ასეთ დასკვნამდე ჩვენ მივალთ თუ მოვიგონებთ წარსულს და ჩავუკვირდებით დღევანდელ მდგომარეობას". — ამბობდა მ. ტუღუში.

ასევე გაილაშქრა მან ენის საკითხთან დაკავშირებული, ქართული ეროვნული საქმისათვის საზიანო ტენდენციის წინააღმდეგ: „ბატონებო! მე საჭიროდ მიმაჩნია ჩემი სიტყვით გამოწვეული ზოგიერთი გაუგებრობის გაფანტვა. ჩვენ, სოციალ-ფედერალისტები ეროვნულ ბრძოლაში უკან არასდროს დავრჩენილვართ. ეს არის დროშა ჟორჟაძის, დეკანოზიშვილის და სხვათა, რომელსაც ჩვენ დაბლა არ დავუშვებთ. პირველი გაუგებრობა — ენის საკითხია. მე პატივს ვცემ ყველა ერს, მის ენას, კულტურას და მზად ვარ მათი დამოუკიდებლობისთვისაც ვიბრძოლო. მე ვთანამშრომლობ გადმოხვეწილთა ორგანიზაციებში, სადაც ჩვენ მოვახერხეთ მტრის ენაზე არ გველაპარაკა. დაუშვებელია რუსული ენის ჩვენგან ინტერნაციონალურ ენად ცნობა. ჩემის ფიქრით ეს არ ნიშნავს თვით ამ ენის სიძულვილს. ეს მოსაზრება გამოდის ჩვენი ბრძოლის ინტერესებიდან"-ო, დასძინა მეცნიერმა სესიის მესამე სხდომაზე.

გარდაიცვალა მარკოზ ტუღუში 1971 წელს. დაკრძალულია ბრიუსელის განაპირა რაიონში, კრეპნოს კომუნალურ სასაფლაოზე.

**მიხეილ მუსხელიშვილი (მუსხელი. 1905-1964).** დაიბადა 1905 წელს თბილისში, გამოჩენილი ქართველი ექიმისა და საზოგადო მოღვაწის პროფესორ ვახტანგ მუსხელიშვილის ოჯახში. მისი უფროსი ძმა გახლდათ ცნობილი ქართველი ისტორიკოსი, დიდი ივანე ჯავახიშვილის ერთ-ერთი უახლოესი თანამშრომელი ლევან (ლენკო) მუსხელიშვილი (1900-1947).

თბილისის ქართული სათავადაზნაურო გიმნაზიის დასრულებისთანავე, 1921 წ. მიხ. მუსხელიშვილი სწავლის გასაგრძელებლად გერმანიაში გაგზავნეს. სწავლობდა გეტინგენისა და მიუნხენის უნივერსიტეტში. შემდეგ გადავიდა საფრანგეთში, სადაც 1929 წელს დაასრულა სორბონის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი საერთაშორისო სამართლის სპეციალობით.

30-იანი წლების პირველ ნახევარში ქართველი სწავლული იყო სორბონის უნივერსიტეტთან არსებული საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის პრივატ-დოცენტი.

1935 წლიდან 1948 წლამდე მ. მუსხელი მოღვაწეობდა ეგვიპტეში — იყო კაიროს უნივერსიტეტის ჯერ ექსტრაორდინარული, შემდეგ კი ორდინარული პროფესორი და კაიროს სამართლის ინსტიტუტის საერთაშორისო სამართლის კათედრის გამგე. გარდა ამისა, იგი ითვლებოდა ეგვიპტის ხელისუფლების მრჩევლად საერთაშორისო სამართლის (პოლიტოლოგიის) დარგში.

1948 წელს იგი საფრანგეთში დაბრუნდა. საფრანგეთში ჩასვლისთანავე მეცნიერი მიიწვიეს სტრასბურგის სახელგანთქმული უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის პროფესორად და კათედრის გამგედ. ამ თანამდებობას ასრულებდა იგი სიცოცხლის ბოლომდე.

სტრასბურგშივე მისი ინიციატივით დაარსდა მეცნიერული კვლევების ნაციონალური ცენტრი, რომელსაც წლების მანძილზე თვითონ განაგებდა. მრავლისმეტყველია ის ფაქტი, რომ ამ ცენტრს სპეციალისტები „მუსხელის ცენტრს" უწოდებდნენ. ეს დაწესებულება გახლავთ პოლიტოლოგიისა და საერთაშორისო სამართლის, სოვეტოლოგიის დარგის ერთ-ერთი წამყვანი ცენტრი საფრანგეთში. მ. მუსხელი კი ითვლება პოლიტოლოგიის ფრანგული სამეცნიერო სკოლის ერთ-ერთ აღიარებულ ლიდერად.

ზემოხსენებულმა ცენტრმა პროფესორ მუსხელის რედაქციითა და თანაავტორობით 60-იანი წლების პირველ ნახევარში გამოსცა პოლიტოლოგია-სამართლისმცოდნეობის დარგის ფუნდამენტური ორტომიანი მონოგრაფია, რომელიც დასავლეთის პოლიტოლოგთა სამაგიდო წიგნს წარმოადგენს. გარდა ამისა, მეცნიერს ეკუთვნის ფედერალიზმის, სამართლისმცოდნეობის, საბჭოთა იმპერიის დამონებულ ერთა წარმომადგენლობის, მათი უფლებების დაცვის საკითხებზე შექმნილი მრავალი სტატია და რამდენიმე სხვა მონოგრაფია.

მ. მუსხელიშვილის ინტერესთა სფეროში მუდამ შედიოდა საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების, ქართველი ერის საერთაშორისო უფლებების დაცვის საკითხები. მთელ რიგ სხვა პუბლიკაციებთან ერთად აღსანიშნავია სწავლულის ჟურნალ „ბედი ქართლისა"-ში ფრანგულ-ქართულ ენებზე გამოქვეყნებული სტატიების სერია. იმისათვის, რათა მკითხველებს გარკვეული შთაბეჭდილება შევქმნათ ამ სტატიების ხასიათის შესახებ, მოვიყვანთ ერთ მცირე წერილს „დამონებულ ერთა წარმომადგენლობისათვის", რომელიც გამოქვეყნდა „ბედი ქართლისა"-ს 1957 წლის გაერთიანებულ 24-ე — 25-ე ნომერში:

„შეუძლია თუ არა დამონებულ და თავისუფლებაწართმეულ ერს ჰყავდეს თავისი წარმომადგენლობა? ეს საკითხი მუდამ არსებობდა, მაგრამ დღეს მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა. მართლაც, პატარა ერები არასოდეს არ ყოფილან დაპყრობის ისეთი საფრთხის წინაშე, როგორც დღეს, თანამედროვე დიდი იმპერიების ხანაში. აგრეთვე არასოდეს არ ყოფილა საერთაშორისო განრიგების ყურადღება მიქცეული პატარა ერთა დაცვისა და დამოუკიდებელი არსებობის უზრუნველყოფისათვის ისე, როგორც დღეს.

...საუკეთესო ნიმუშს თანამედროვე დამპყრობელ იმპერიისა წარმოადგენს საბჭოთა კავშირი, რომლის დაშლის დრო შეიძლება არც ისე შორს იყოს, ამიტომ დიდი მნიშვნელობა ეძლევა მის მიერ დაპყრობილი ერების წარმომადგენლობას.

თავისთავად ცხადია, რომ საბჭოთა რუსეთის მიერ დაპყრობილ ერებს არ შეუძლიათ იყოლიონ თავიანთი კანონიერი წარმომადგენლობა, რადგან მათ წართმეული აქვთ საშუალება სურვილების თავისუფლად გამოვლინებისა. მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ მათ არავითარი წარმომადგენლობის უფლება არ ჰქონდეთ. თუ საერთაშორისო განრიგება ერთი მხრივ ერთა თვით-გამორკვევის უფლების განხორციელებაში დახმარებაზედ უარს ამბობს, სამაგიეროდ ის გმობს დაპყრობას და მის მიერ შექმნილ ფაქტიურ მდგომარეობას. STATU QUO ANTE რჩება თავისი ფორმითა და იურიდიული შინაარსით. უფლება, რომელიც რჩება ხელუხლებელი, თუნდაც გაუნაღდებელი, იძლევა კანონიერ და გამართლებულ საფუძველს წარმომადგენლობის შესაქმნელად. მხოლოდ, ერთი აუცილებელი პირობით: წარმომადგენლობა უნდა ემყარებოდეს დემოკრატიული კანონიერების პრინციპს. დამონებული ერის შვილებმა, რომლებმაც თავი დააღწიეს დევნას და სარგებლობენ სიტყვის თავისუფლებით, უნდა გამოხატონ ან წარმოადგინონ სწორად და მთლიანად ერის პოლიტიკური პიროვნების ყველა ელემენტები.

პოლიტიკურ ნიადაგზე ერის თავისუფლება გამოიხატება უმთავრესად პოლიტიკურ აზრთა და მიმდინარეობათა სხვადასხვაობაში და მათ გამომხატველ პარტიათა არსებობაში. მეორე მხრივ, ეს თავისუფლება გამოისახება წარმომადგენლობითი ორგანოების დაარსებით, თავისუფალი არჩევნების ნიადაგზე, და რომელსაც მინიჭებული აქვს მანდატი იმოქმედოს ერის სახელით ან ერისათვის.

ამნაირად, ჩამოყალიბება დამონებული ერის წარმომადგენლობისა ძნელი არ არის. საჭიროა შემოკრება ყველა ყოფილი ორგანოების წარმომადგენელთა: პარლამენტის, მთავრობისა და გამოუკლებლივ პოლიტიკური ორგანიზაციებისა. წარმომადგენლობის ხასიათის გასაძლიერებლად შეიძლება დაემატოს სოციალური და კულტურული ორგანიზაციები, თუ ასეთები არსებობენ. ასეთ ორგანოს, რომელიც იქნება ნამდვილი სარკე და გამომხატველი ყველა პოლიტიკური და საზოგადოებრივი ნიუანსებისა, შეუძლია მოითხოვოს წარმომადგენლობის უფლება თავისუფლებას მოკლებული ერის სუვერენობისა.

ხოლო აქ ერთი სიფრთხილეა საჭირო: თუ წარმომადგენლობის შედგენაში დაშვებულია რაიმე შერჩევა და გამონაკლისი, გამორიცხულია რომელიმე არსებული ორგანიზაცია, მაშინ მცირეოდენი წინააღმდეგობაც კი საკმარისია, რომ შეილახოს ღირებულება და ძალა ამ ორგანოსი და მისი მოქმედება გამოცხადდეს უზურპაციად.

ამნაირად, წარმომადგენლობის სიმტკიცე და მისი ცნობა დამოკიდებულია ერის თავისუფალ მოქალაქეთა ურთიერთშეთანხმებაზედ".

მსგავსი შინაარსისა, ოღონდ გაცილებით მოცულობითი და მთლიანად საქართველოს პრობლემებისადმი მიძღვნილი გახლავთ ქართველი პროფესორის ფრანგულ ენაზე შედგენილი სტატია საქართველოს საერთაშორისო უფლების შესახებ, რომელიც გამოქვეყნდა „ბედი ქართლისა"-ს 1956 წლის 21-ე—22-ე ნომერში. შეიძლება არაერთი მსგავსი პუბლიკაციის დასახელება, რომლებიც გამსჭვალულია ღრმა პატრიოტიზმითა და უმაღლესი დონის პროფესიონალიზმით.

გარდა ყოველივე ზემოთქმულისა, მიხ. მუსხელიშვილი ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივსა და ორგანიზატორულ მოღვაწეობას: 1948-51 წლებში იგი იყო საერთაშორისო საუნივერსიტეტთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი, ხოლო 50-იანი წლების მეორე ნახევარში ევროპის უნივერსიტეტთა კავშირის გენერალური მდივანი. არჩეული იყო პოლიტიკურ მეცნიერებათა საერთაშორისო საზოგადოების, მეცნიერული პრესის საერთაშორისო კავშირის (ამ კავშირის ვიცე-პრეზიდენტი გახლდათ პროფესორი კალისტრატე სალია) და მრავალი სხვა სამეცნიერო თუ საზოგადოებრივი გაერთიანების წევრად.

გამოჩენილი მეცნიერი ცნობილი სპორტსმენ-ალპინისტიც გახლდათ. სწორედ ალპინიზმი გახდა მისი სიკვდილის მიზეზი — დაიღუპა მიხეილ მუსხელიშვილი 1964 წლის 16 ივლისს იტალიის მთებში, აოსტას ცნობილ ხეობაში. დაკრძალულია სტრასბურგის სასაფლაოზე.

თანამედროვე პოლიტოლოგია-სოვეტოლოგიის ერთ-ერთ უდიდეს ავტორიტეტადაა აღიარებული ჩვენი სახელოვანი თანამემამულე ქალი, აკადემიკოსი **ელენ კარერ დ'ანკოსი — ელენე გიორგის ასული ზურაბიშვილი** (დ. 1929 წ.), რომელიც არის დიდი ქართველი მოღვაწეების ნიკო ნიკოლაძისა და ილია ზურაბიშვილის შვილთა შვილი.

ე. კარერ დ'ანკოსი არის მრავალმხრივ განსწავლული პიროვნება. დამთავრებული აქვს სორბონის უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა და ფრანგული ლიტერატურის ფაკულტეტები. მინიჭებული აქვს პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორისა და ფრანგული ლიტერატურის დოქტორის სამეცნიერო ხარისხები. იგი თითქმის მეოთხედი საუკუნეა ასრულებს სორბონის უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის პროფესორის მოვალეობას. ამავე დროს, ქალბატონი ელენე განაგებს პარიზის საერთაშორისო ურთიერთობათა ნაციონალურ სამეცნიერო-კვლევით ცენტრს, საფრანგეთის პოლიტიკურ მეცნიერებათა ეროვნული ფონდაციის კვლევით სექტორს. 70-იანი წლების დამდეგიდან იგი კურირებს ჩიკაგოს უნივერსიტეტის სლავური კომიტეტის მეცნიერ-სოვეტოლოგთა ჯგუფს.

მეცნიერებაში გაწეული უდიდესი წვლილისათვის 1989 წელს ქართველი მეცნიერი არჩეულ იქნა საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიის, ე. წ. „უკვდავთა აკადემიის" ნამდვილ წევრად (აკადემიკოსად). ამის გარდა, საფრანგეთის წინაშე დიდი დამსახურებისათვის რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებით მინიჭებული აქვს „საპატიო ლეგიონი"-ს ორდენის რაინდის ხარისხი, რაც ერთ-ერთ უმაღლეს პატივად ითვლება.

ქალბატონი ელენე არის ასზე მეტი სამეცნიერო შრომის, მათ შორის 10 ფუნდამენტური მონოგრაფიის ავტორი. მისი შრომები ძირითადად შეეხება საბჭოთა ეროვნული პოლიტიკის, საბჭოთა სისტემის სოციალურ-ეკონომიკური წყობის, სსრკ-აღმოსავლეთ ევროპის ურთიერთობების, დამონებულ ერთა სამართლებრივი უფლების, იმპერიაში მიმდინარე ე. წ. „ეთნოკონფლიქტები"-ს და მთელ რიგ სხვა საკითხებს. ინტენსიურად იკვლევს მეცნიერი დღევანდელ საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ფრანგულ ენაზე გამოცემული მისი საყოველთაოდ ცნობილი მონოგრაფიები: „საბჭოთა კავშირი ლენინიდან სტალინამდე" (1970), „დამსხვრეული იმპერია" (1978), „ჩამორთმეული ხელისუფლება" (1980), „დიდი ძმა" (1983), „რუსული უბედურება" (1988), და სხვა

ნიშანდობლივია ისიც, რომ ჩვენი თანამემამულე სიტყვის უბადლო ოსტატიცაა. მისი ყოველი სტატია თუ წიგნი, გარდა მაღალი მეცნიერული ღირსებებისა, მხატვრული სიტყვის შესანიშნავი ნიმუშიც გახლავთ. ამის დადასტურებაა ის ფაქტი, რომ წიგნისათვის „დამსხვრეული იმპერია", ავტორს საფრანგეთის ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ლიტერატურული პრემია — „ოკურდუი" მიენიჭა.

ამდენად, წინამდებარე პუბლიკაცია თვალნათლივ ადასტურებს ქართველ სწავლულთა ფასდაუდებელ ღვაწლს მსოფლიო პოლიტოლოგიისა და სოვეტოლოგიის წინაშე. ამასთან, შეიძლებოდა ლაპარაკი სხვა ქართველ მეცნიერებზეც, მაგრამ ჩვენს მიზანს შეადგენდა მათგან ყველაზე რჩეულთა წარმოჩენა.

# მისთვის არაფერს ნიშნავს

**საქართველოს** პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია დაიბადა 1939 წელს ქართული ლიტერატურის კლასიკოსის, დიდად პატივცემული მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას ოჯახში, რომლის ძეგლიც ამშვენებს თბილისის ერთ-ერთ პრესტიჟულ უბანს.

ზვიადმა მიიღო მრავალმხრივი განათლება, არის პოეტი, პროზაიკოსი, ამერიკული, ფრანგული, ინგლისური ლიტერატურის მთარგმნელი.

პირველად იგი 17 წლის ასაკში დააპატიმრეს. იყო მონაწილე მოძრაობისა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, ბეჭდავდა იატაკქვეშა გამოცემებს, შექმნა საქართველოს ჰელსინკის კავშირი.

რამდენიმეჯერ იყო პატიმრობაში, გასული წლიდან მოყოლებული თავკაცობს ბლოკს „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო", რომელმაც არჩევნებში 250-დან 155 ადგილი მოიპოვა.

რეფერენდუმის შემდეგ, რომელშიაც რესპუბლიკის მოსახლეობის მნიშვნელოვანმა უმრავლესობამ ხმა მისცა დამოუკიდებლობას, გამსახურდია არჩეულ იქნა პრეზიდენტად.

მეორე დღესვე მან მოუწოდა თანამემამულეებს ეროვნული დაუმორჩილებლობისაკენ. მოსკოვს შესთავაზეს მოლაპარაკების დაწყება საბჭოთა ჯარის გაყვანის თაობაზე.

გამსახურდიას მოღვაწეობის შეფასებისას ყალიბდება აზრი, რომ ის გამორჩეული პიროვნებაა. იგი საქართველოს დაუყოვნებელი განთავისუფლების მომხრეა, ამის უფლებას აძლევს ის, რაც აქამდე გაკეთდა.

ზვიად გამსახურდიას თქმით, საყვედურები მეტისმეტად მკაცრ პოლიტიკური კურსის მიმართ და სხვა, ხშირად მეტად არასასიამოვნო დახასიათებები, მისთვის არაფერს ნიშნავს.

დღეს ზვიად გამსახურდია ყველაზე პოპულარული ქართველი პოლიტიკოსია.

ქართველ ხალხს იგი მიაჩნია დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის სიმბოლოდ.

**„ტრიბუნა"** (პოლონეთი)
**22 აპრილი 1991 წ.**

# ქართველებს თავადაც ძალუძთ ბატონი გორბაჩოვის საქმე აკეთონ

ერთ-ერთი ინგლისური ჟურნალის სპეციალური კორესპონდენტი თავის პუბლიკაციაში საქართველოს შესახებ „Divided they fight", — The Economist, 2. III 1991) აღნიშნავდა: „ბატონი გამსახურდიას, როგორც პრეზიდენტის პირველი ნაბიჯები უკომპრომისო იყო. მან სრულიად უარყო პრეზიდენტ მიხეილ გორბაჩოვის მიერ შემოთავაზებული ახალი „სამოკავშირეო ხელშეკრულება". მან იერიში მიიტანა საბჭოთა ძალაუფლების ადმინისტრაციულ საყრდენზე, როდესაც გადააყენა ადგილობრივი მთავრობა და როდესაც კონტროლს დაუქვემდებარა ადგილობრივი კგბ-ც კი. ამავე დროს მან დაანგრია საბჭოთა ძალაუფლების ეკონომიკური საფუძველი, როდესაც გამოაცხადა, რომ ყველა წამგებიანი კოლმეურნეობა პრივატიზებული იქნება.

ყოველივე ამას თითქოს შეიარაღებული ჩარევა უნდა გამოეწვია საბჭოთა ხელმძღვანელობის მხრიდან, ისევე როგორც ლიტვაში, მაგრამ როგორც ჩანს, ამის არავითარი საჭიროება არ არის: **ქართველებს თავადაც ძალუძთ ბატონი გორბაჩოვის საქმე აკეთონ**" (ხაზგასმა ჩვენია — რედ.).

შედეგად, ცოტა ქვევით ვკითხულობთ: „პრეზიდენტი ამბობს, რომ 12-ათასიანი ეროვნული გვარდია ჩამოყალიბებული იქნება წლის ბოლოსთვის. პირველი შენაერთები ახლა პარლამენტის შენობის შესასვლელს იცავენ ავტომატით, სულ რაღაც ასიოდე მეტრის მოშორებით იკრიბებიან კონგრესისა და ბატონი ჭანტურიას მომხრეები. ეს არის მხედრიონი. მათი ლიდერი, ჯაბა იოსელიანი, რომელიც ყაჩაღობისთვის ციმბირში იყო დატუსაღებული, ხოლო ამჟამად საკუთარ თავს დრამატურგად და ფილოლოგიის დოქტორად მოიხსენიებს, იქადნიდა, რომ 600 კაცის გამოყვანას შეძლებდა რვა საათში".

ინგლისური პუბლიკაციის ავტორი იმასაც აღნიშნავს, რომ ჯაბა იოსელიანი ამჟამად დაპატიმრებულია, მაგრამ თუ როგორ გრძელდება გორბაჩოვის მსახურება ქართველთა მხრიდან, ამის შესახებ, რა თქმა უნდა 2 მარტს გამოქვეყნებული წერილი არაფერს იტყობინება.

სამაგიეროდ ამის თაობაზე ზედმიწევნით ზუსტ ინფორმაციას აწვდის თავის მკითხველს საბჭოთა გაზეთი „Красная Звезда": „რესპუბლიკის პრეზიდენტობის კანდიდატის პროფესორ ვ. ადვაძის გამოსვლას საქართველოს ტელევიზიით საკმაოდ მოულოდნელი გაგრძელება ჰქონდა, მაგრამ თავდაპირველად თვით გამოსვლის შესახებ. პრეტენდენტმა კერძოდ განაცხადა, რომ საქართველოს ამჟამინდელ საზოგადოებაში დასადგურებულია სამსახურიდან დათხოვნის, ტერორისა და რეპრესიების შიში, დევნა პოლიტიკური შეხედულებების გამო. ყოველივე ეს მკვეთრად გამოვლინდა კანდიდატთა მხარდასაჭერი ხელისმოწერების შეგროვების დროს.

რადიო და ტელევიზია, ადვაძის თქმით, მონოპოლიზებულია, უმკაცრეს ცენზურას ექვემდებარება და დაკავებულია „მშრომელთა კოლექტივებისა" და დაწესებულებების წერილების პუბლიკაციით, სადაც ხოტბა ესხმება არსებულ სახელმწიფო ხელისუფლებას და მის ლიდერს, ზ. გამსახურდიას.

ვერ წარმოიდგენდა, ალბათ პრეზიდენტობის მაძიებელი, რომელიც ზუსტად ჩაეტია კანდიდატებისთვის განკუთვნილ სატელევიზიო დროში, რომ მისი სიტყვები წინასწარმეტყველური გამოდგებოდა... მისსავე მიმართ. საქმე ის არის, რომ წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში პროფესორმა თხოვნით მიმართა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას მისთვის დაცვის გამოყოფის თაობაზე. რაკი პასუხი ვერ მიიღო, ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირმა, რომელსაც ადვაძე წინამძღოლობს, სავსებით ოფიციალურად, შესაბამისი კოოპერატივის მეშვეობით დაიქირავა შვებულებაში მყოფი მოსკოვის სისხლის სამართლის სამძებროს (МУР) თანამშრომლები.

და აი, 11 მაისს, ნაშუადღევს სწავლულის მისაღებში შეიჭრნენ ადგილობრივი მილიციის მუშაკები და მოსთხოვეს დაცვას დოკუმენტები, რასაც მოჰყვა ახალი ბრძანება, რომ გაჰყოლოდნენ რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროში პირადობის დასადგენად. ხოლო რაკი დაცვას ასეთი სურვილი არ აღმოაჩნდა, მილიციამ გადაწყვიტა ძალა გამოეყენებინა. შექმნილ აყალ-მაყალს თვალ-ყურს ადევნებდნენ ინტელიგენციის წარმომადგენლები, და არა მხოლოდ თვალს ადევნებდნენ, არამედ საკუთარ თავზეც განიცადეს მუჯლუგუნებისაგან მიღებული სიამოვნება.

საქმის გარჩევა შინაგან საქმეთა სამინისტროში მაინც შედგა, დაცვის უფლებამოსილება ოფიციალურად დადგინდა, გამოირკვა, რომ ოთხივენი კანონის დაცვით მოქმედებდნენ. ამისდა მიუხედავად, საღამოს ტელეგადაცემაში გაისმა სიტყვები, რომელიც კიცხავს პრეტენდენტის კავშირს „მოსკოვთან".

ასეთია „კრასნაია ზვეზდაში" გამოქვეყნებული წერილის სრული ტექსტი. ბუნებრივია, არ ვაპირებთ მასში მოყვანილი „ფაქტების" გაბათილებას, რადგან ჩვენს მკითხველებს თავადაც მოეხსენებათ თუნდაც ის, თუ როგორ „დადგინდა" დაცვის უფლებამოსილება და სხვ. ყველაფერს გამოძიება დაადგენს და საბოლოო სიტყვას სასამართლო იტყვის. ცხადია, არც ის გვაკვირვებს, რომ წითელი არმიის გაზეთი ვერაფერს ხედავს გასაკიცხს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტობის პრეტენდენტის კავშირში მოსკოვთან, კერძოდ, სისხლის სამართლის სამძებროს მუშაკებთან (ამაში საჩოთიროს ხომ ვერც აყალ-მაყალის თვალ-ყურის მდევნელი ინტელიგენტები ხედავენ). გვინდა მხოლოდ ის აღვნიშნოთ, რომ პატივცემულ პრეტენდენტს ახალი ქომაგები შეუძენია. გაზეთ „კრასნაია ზვეზდას" და წერილის ავტორის, მაიორ ს. კრუჟილინის სახით. აბა, თქვენ არ მექომაგებით და... — იტყვის პატივცემული მოშიშილე პრეტენდენტი და მართალიც იქნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სულიწმიდის მოფენა — მარტვილიის დღესასწაული

**26 მაისს** (ძვ. სტ. 13 მაისი) ერთ-ერთი უდიდესი საეკლესიო დღესასწაულია — სულიწმიდის მოფენა; იგი მუდამ აღდგომიდან მეერგასე (ორმოცდამეათე) დღეს ემთხვევა.

ამ დღეს წმიდა ეკლესია მოიხსენებს ქრისტეს წმ. მოციქულებზე სულიწმიდის გარდამოსვლას; საღმრთო სულით, ნიჭითა და მადლით მათ აღვსებას. სულიწმიდის მოფენამ ფაქტობრივად დასაბამი დაუდო ქრისტიანულ ეკლესიას, ქრისტეს მოწაფეთა სამოციქულო მისიას.

საეკლესიო-ეორტოლოგიური ციკლის განხილვა გვიჩვენებს, რომ ქრისტიანობის მიერ დადგენილი ყოველი დღესასწაული ადამიანის ღმერთთან მიახლების, ქრისტიანული სრულყოფის გზაზე მისი წარმატებული სვლისთვისაა დადგენილი. საღმრთო წერილი მრავალ ისტორიულ ცნობას გვაწვდის განკაცებული მაცხოვრის ამქვეყნიური მოღვაწეობის შესახებ. მაგრამ საღმრთო ისტორიის თითოეული მომენტი (როგორც ახალი აღთქმის, ისე, განსაკუთრებით — ძველისა) როდია საეკლესიო დღესასწაულად დადებული. ქრისტეს მოციქულებზე სულიწმიდის გარდამოსვლის მოხსენებით ეკლესია ესწრაფვის საღმრთო სულის მისაღებად მოამზადოს მის წიაღში მყოფი თითოეული მორწმუნე — სარწმუნოების ახალნერგი.

როგორც ცნობილია, საწელიწადო კალენდარული ციკლი სამ უმთავრეს მონაკვეთად იყოფა: დიდი მარხვა, ზატიკი და სულიწმიდის მოფენის მომდევნო პერიოდი. ამ სამი მონაკვეთის მკვეთრი გამიჯვნა ერთმანეთისაგან ხდება მრავალი ნიშნით: წეს-განგებათა თავისებურებებით (მაგ., დიდ მარხვის წეს-განგება დიდად განსხვავდება ორი დანარჩენი პერიოდის წეს-განგებათაგან. იგივე ითქმის ზატიკისა და სულიწმიდის მოფენის მომდევნო პერიოდის წეს-განგებათა ურთიერთმიმართებაზეც), საკუთარი ლიტურგიკული კრებულებით (მარხვანი, ზატიკი, პარაკლიტონი), საკუთარი მოძრავი კალენდრით (თითოეულ პერიოდში კვირიაკეების ნუმერაციათა ავტონომიურობა), ღვთისმსახურო საკითხავთა სისტემით (მაგ., დიდ მარხვაში სისტემატურად იკითხება „დაბადება") და სხვ.

ამ ნიშანთა ურთიერთშედარებით ადვილად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საეკლესიო წელიწადის სამ მონაკვეთად გაყოფა ღმრთის სამი ჰიპოსტასის (მამის, ძისა და სულიწმიდის) გამომსახველია: დიდი მარხვა ცისა და ქვეყნის შემოქმედს გამოხატავს, ზატიკი — განკაცებული ძის (იესუ ქრისტეს) მკვდრეთით აღდგომას, მეერგასის მომდევნო პერიოდი კი — სულიწმიდის გარდამოსვლას. ეს უკანასკნელი წელიწადის უდიდეს ნაწილს მოიცავს. მის განმავლობაში ყოველგვარ ღმრთისმსახურებას ვიწყებთ გალობით სულიწმიდის მიმართ: „მეუფეო ზეცათაო, ნუგეშინისმცემელო, სულო ჭეშმარიტებისაო"... (შედარებისათვის: დიდ მარხვაში დაწყებითი გალობაა „წმიდაო ღმერთო"; მასში პირველად მამა ღმერთს მოვიხსენებთ; ზატიკის პერიოდში დაწყებით ლოცვებს წინ უძღვის „ქრისტე აღსდგა" — განკაცებული ძის, უფლისა ჩვენისა იესუ ქრისტეს, მაცხოვარებითი მისიის მოსახსენებლად). ცვალებად საგალობელთა ძირითად წიგნსაც „პარაკლიტონი" ეწოდება (ბერძნ. „ნუგეშინისმცემელი", ესაა სულიწმიდის ერთ-ერთი ეპითეტი).

სულიწმიდის მონიჭება ქრისტემ თავის მოწაფეებს აღუთქვა ჯერ კიდევ ვნებამდე. უფალმა იწინასწარმეტყველა, რომ ამ სოფლად მას მცირე ხანიღა დარჩენოდა. იგი ზეციურ მამასთან უნდა წასულიყო და თავის ნაცვლად ნუგეშინისმცემელი სული წმიდა მოევლინებინა: „მე ვჰკითხო მამასა ჩემსა, და სხუა ნუგეშინისმცემელი მოგივლინოს თქუენ, რათა თქუენ თანა დაადგრეს უკუნისამდე" (იოანე 14, 16).

საუფლო სიტყვით სული წმიდა „მამისაგან გამოვალს" (იოანე 15,26), მაგრამ მას მოწაფეებს მოუვლენს თავად უფალი იესუ ქრისტე: „რომელი მე მოვავლინო თქუენდა მამისა ჩემისა მიერ" (იოანე 15, 26). სხვაგან უფალი ამბობს: „...სული წმიდა, რომელი მოავლინოს სახელითა ჩემითა მამამან"... (იოანე 14, 26).

სული წმიდა არის ყოველთა წმიდა-მყოფელი, განმაბრძნობელი, განმაძლიერებელი.

ყოველი წარმართის მოსაქცევად მოციქულების საქადაგებლად წარგზავნამდე უფალი ამცნებდა მათ, რომ არ განშორებოდნენ იერუსალიმს, სანამ არ მიიღებდნენ ზეგარდამო მადლს. ეს მადლი უთუოდ სჭირდებოდა სამოციქულო მისიის მტვირთველს. უფლის ქადაგებით მოწაფეებს შეთვისებული ჰქონდათ ქრისტიანული მოძღვრება იმ ზომით, რისი შემძლებელნიც იყვნენ ისინის პიროვნულად, სრული სიბრძნე და ძლიერება კი მხოლოდ ნუგეშინისმცემელი საღმრთო სულის მიღებით იყო შესაძლებელი. მხოლოდ საღმრთო სულთან ზიარებით შესძლებდნენ ისინი, ჩასწვდომოდნენ მოძღვრებას ცოდვის, სიმართლისა და სასჯელის შესახებ (იოანე 16,8). უფალი მამის მიმართ უნდა ამაღლებულიყო, ხორციელად განშორებოდა მოწაფეებს, ხოლო მისი საღმრთო სული მოციქულთა შემწე იქნებოდა საუკუნოდ.

უფალთან განშორებით შეწუხებულ მოციქულებს მაცხოვარმა უთხრა: „უმჯობეს არს თქუენდა, რათა მე წარვიდე. უკუეთუ მე არა წარვიდე, ნუგეშინისმცემელი იგი არა მოვიდეს თქუენდა. უკუეთუ მე წარვიდე, მოვავლინო იგი თქუენდა" (იოანე 16,7). სულიწმიდის ძალის მიღებით მოციქულნი ჩვეულებრივ ადამიანურ ძალებზე აღმატებით შესძლებდნენ დ ა ე მ ო წ მ ე ბ ი ნ ა თ კაცობრიობისათვის ქრისტეს ღვთაებობა, ექადაგათ მთელ ქვეყანაზე მისი წმიდა მოძღვრება.

ამაღლებიდან მეათე დღეს, როდესაც მოწაფენი ერთად იყვნენ შეკრებილნი, უეცრად მოესმათ „ზეცით ოხრა, ვითარცა მოწევნა ქარისა სასტიკისა" (საქმე 2,2). იდუმალმა ხმებმა აღავსო მთელი სახლი, სადაც ისინი იმყოფებოდნენ, უფლის მიერ აღთქმული სულიწმიდა ცხადად გადმოვიდა მოციქულებზე. თითოეულ მათგანს ცეცხლის ენების სახით ეწილადა საღმრთო მადლი. ეს არ იყო ჩვეულებრივი ცეცხლი. საღმრთო სულის მოვლინება მხოლოდ გარეგნულად ჰგავდა ცეცხლის ენების განყოფას.

პირველი სასწაული, რომელიც სულიწმიდის მოფენას მოჰყვა, იყო უცხო ენებზე მეტყველების ნიჭი.

რა საჭირო იყო მოციქულებისათვის უცხო ენები?

უფლის ნებით, მისი მოძღვრება მთელ ქვეყნიერებას უნდა მოჰფენოდა. ეს კი შეუძლებელი იქნებოდა, თუკი თითოეულ ერს საკუთარ ენაზე არ დამოძღვრავდნენ ქრისტეს მოციქულნი. სულიწმიდის ამ სასწაულით საჩინო შეიქნა თითოეული ერის ენათა საღმრთო დანიშნულება.

ეკლესიის სწავლებით, ენათა წარმოშობა სულიწმიდის გარდამოსვლით მოხდა. ბიბლიის თანახმად, ბაბილონის გოდოლის მშენებელთა ერთმანეთისაგან გასათიშად (ე. ი. ბაბილონური ცოდვის — ამპარტავნების დათრგუნვის მიზნით) სულიწმიდამ „შეურია ენანი" (ე. ი. მოახდინა ენების დიფერენციაცია). ამით მან „მიმოდაყუნა ნათესავნი" (ე. ი. ერები გამიჯნა ერთმანეთისაგან). მოციქულებზე გარდმოსვლით კი განყოფილნი კვლავ შეაერთა სულიწმიდის საღმრთო მადლმა. დღესასწაულის კონდაკში ვკითხულობთ: „რაჟამს იგი გარდამოხდა და ენანი შეურივნა, მიმოდაყუნა მაღალმან ნათესავნი, ხოლო აწ, რაჟამს ცეცხლისა ენანი განუყუნა, ერთობამად მოიყვანნა იგინი"...

რითი მოხდა განყოფილთა შეერთება? როგორც ვნახეთ, არა მსოფლიოს ერთა ენების ერთმანეთთან დაახლოებითა და შერწყმით, არამედ თითოეულ ენაზე ქადაგებით, თითოეული ენის ღმრთისმეტყველური აღორძინებით.

„ენა საღმრთო რამ არის", — ამბობდა წმინდა ილია მართალი.

ენათა განყოფა ორივე შემთხვევაში საღმრთო დანიშნულებით მოხდა. პირველმა განყოფამ ცოდვის დათრგუნვის მიზნით გათიშა და ერთმანეთს განაშორა ამპარტავნების სულით აღძრული ერი, მეორე განყოფამ კი კვლავ შეაერთა განბნეულნი, მაგრამ შეაერთა არა ამპარტავნების სულის ასაღორძინებლად, არამედ ქრისტეს წმ. ეკლესიის აღსაშენებლად, საღმრთო ნებისა და განგებულების აღსასრულებლად.

ამრიგად, თავდაპირველად ენების შერევით ერთა გაყოფა ბოროტების დათრგუნვას ისახავდა მიზნად. ცეცხლის ენათა განყოფამ კი, რასაც მსოფლიოს სხვადასხვა ერების (სხვადასხვა ენებად განბნეული კაცთა მოდგმის) ერთ ქრისტიან ერად გამთლიანება მოჰყვა, სრულყოფილების გზა უჩვენა კაცობრიობას. თუ პირველი განყოფა სულიერი განვითარების უფრო დაბალ საფეხურს (ბოროტების დათრგუნვას) ისახავდა, მეორე განყოფა — უმაღლესი სულიერების, ქრისტესთან ზიარების, მადლით განღმრთობის მომასწავებელი იყო.

ნიშანდობლივია, რომ უფალმა მოციქულებზე ენათა მიფენით არ გააუქმა ენათა პირველი განყოფის შედეგები. პირიქით, ენათა მეორე განყოფა პირველ განყოფას უნდა დაფუძნებოდა. ბოროტების დათრგუნვის გარეშე შეუძლებელი იყო კაცთა მოდგმის ასვლა სულიერების უფრო მაღალ საფეხურზე, — სულითა და ჭეშმარიტებით თაყვანისცემა ღმრთისა.

ენების ერთმანეთთან დაახლოებისა და, საბოლოო ანგარიშში, შერწყმის მცდელობა ბაბილონური ენათა განყოფის წინააღმდეგომ ქმედებად უნდა ჩაითვალოს. შემთხვევითი არაა, რომ იდეალად ერთიანი ენის გამოცხადება — ბაბილონის გოდოლის იდეის აღორძინება, იმპერიულ ამპარტავნებას უკავშირდება. უფლის ნებით კი, თურმე მსოფლიოს სხვადასხვა ერებს ერთმანეთთან დააკავშირებს და სულიერად ააღორძინებს არა მათი ენების შერწყმა-გაერთიანება, არამედ ქრისტეს წმიდა ეკლესიასთან ზიარება, სულითა და ჭეშმარიტებით გამთლიანება ქრისტეს ღმრთივ-კურთხეულ სამწყსოში.

სწორედ ამიტომაც, უფალმა თავის მოციქულებს ამცნო, რომ ყოველ ერში ადგილობრივ ენაზე ექადაგათ ქრისტეს მცნება, სამწყსოსათვის გასაგები ენით მოეთხროთ საღმრთო ჭეშმარიტება, ესწავლებინათ ქრისტიანული მოძღვრება საუკუნო ცხოვრებისა და ზეცათა სასუფევლის შესახებ.

ქრისტეს მცნების თანახმად, სულიწმიდით განბრძნობილმა მოციქულებმა და მათ კვალზე შემდგარმა მოწაფეთა-მოწაფეებმა სამოციქულო მისია ყოველ ქვეყანაში ადგილობრივ ენაზე აღასრულეს.

უფლის მცნება არ ძველდება. ეკლესიის აღორძინება იქ ხდება მხოლოდ, სადაც მშობლიურ ენაზე ისმის სახარების სიტყვა, სამოძღვრო ქადაგება და ღმრთივ-შვენიერი გალობა. იქ კი, სადაც სამოძღვრო ქადაგებაში იმპერიის ენა მძლავრობს, სარწმუნოების ნერგი ვერ გაიხარებს, ქრისტესმიერი სიყვარული ვერ აღმოცენდება.

სულიწმიდის მოფენა ყოველი ქრონეული ეკლესიის ზეიმია. ენათა სხვაობა როდი აშორებს სხვადასხვა ქვეყნის ქრისტიანებს. ისინი ერთი მწყემსის, ქრისტეს სამწყსოს, ერთ წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიას შეადგენენ. ურთიერთდაშორება და ღმრთისაგან დაშორებაც მაშინ იწყება, როდესაც იმპერიული სული დაიწყებს თავისი მისიის აღსრულებას.

სულიწმიდის გარდამოსვლით მოხდა ქრისტეს ღმრთეების დამოწმება. საღმრთო სულით განბრძნობილი მოციქულნი შეიქნენ მოწამე (დამამოწმებელი) ქრისტესი. სწორედ ამიტომ შეერქვა სულიწმიდის მოფენის დღესასწაულს „მარტვირია" (ბერძნ. „დამოწმება"). დღესასწაულის აღმნიშვნელად სწორედ ეს ტერმინი გვხვდება უძველეს ლიტურგიკულ და ჰომილეტიკურ ძეგლებში, ოღონდ ქართული ენის ფონეტიკური კანონების შესაბამისად „მარტვირია" გარდაქმნილია „მარტვილიად".

მარტვილიის სახელზე მრავალი ტაძარი აუგიათ საქართველოში, ერთ-ერთ მათგანს სახელადაც მარტვილი ჰქვია (იგულისხმება მარტვილია). როგორც ჩანს, ქალაქ მარტვილს სწორედ ამ ეკლესიისაგან მიუღია სახელი.

მარტვილია — დღესასწაულის შინაარსის ზედმიწევნით ამსახველი ტერმინია. მასთან ერთად იხმარება ტექნიკური ტერმინიც — „მეერგასე" (ბერძნ. „პენტეკოსტე"), რომელიც მარტოოდენ მის კალენდარულ მდგომარეობას მიგვითითებს (სახელდობრ, ქრისტეს აღდგომიდან 50 დღით დაცილებას).

ლიტურგიკული თვალსაზრისით მარტვილია დაკავშირებულია ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომასთან. ამის გამო მას ზოგჯერ „მაისის პასექსაც" უწოდებენ (ასეა, მაგალითად, ბასკეთში). მარტვილიისა და პასექის ლიტურგიკული ნათესაობის შესახებ დაწვრილებით საუბარი გვექნება სხვაგან.

გარდა „მარტვილიისა" და „მეერგასისა", სულიწმიდის გარდამოსვლას „სულთმოფენობადაც" მოიხსენებენ. ეს დღესასწაულის სახელის ხალხური ფორმაა, მაგრამ მას აქვს მწიგნობრული საფუძველი; ბიბლიაში სულიწმიდის გარდამოსვლა არაერთგზისაა მოხსენებული „სულის მიფენად" (რიცხვთა 11, 25; იოველი 2.28 და სხვ.).

სულიწმიდის მოფენის აღსანიშნავად „სამებობის" შემოღება რუსული საეკლესიო ტრადიციის გავლენით უნდა აიხსნას (ქართულ საეკლესიო კალენდარში ამ ტერმინის გამოჩენა სულ რამდენიმე წლის წინათ მოხდა). „სამებობა", როგორც ტერმინი, არ გვხვდება არცერთ ძველ ლიტურგიკულ კრებულში (ტიბიკონი, ზატიკი, მრავალთავი და სხვ.). მათ შორის, არც რუსულში. რუსული ხალხური სახელწოდება მარტვილიისა — „სამება" — ჩვენი აზრით, ძირითადად ჰიმნოგრაფიულ მასალაზე დაყრდნობითაა აღმოცენებული, ლიტურგიკული ღმრთისმეტყველება მას არ იცნობს.

სულიწმიდის მოფენა — მარტვილია ლიტურგიკაში გააზრებულია, როგორც ქ რ ი ს ტ ე ს დ ღ ე ს ა ს წ ა უ ლ ი (ქრისტეს ღმრთეების დამოწმების დღესასწაული). მართალია, მოციქულებს ს უ ლ ი წ მ ი დ ა მოეფინათ მ ა მ ი ს ა გ ა ნ, ძის საშუალებით, ე. ი. ამ აქტში წმ. სამების სამივე ჰიპოსტასი მონაწილეობს, მაგრამ მარტვილიის გამოცხადება სამების დღესასწაულად, ეორტოლოგიის პრინციპებიდან გამომდინარე, შესაწყნარებელი არ არის.

იმდენადაა გავრცელებული რუსულ ეკლესიაში ხალხური სახელწოდება მარტვილიისა — „სამება", რომ დაუჩრდილავს ამ დღესასწაულის აღმნიშვნელი სხვა ტერმინები. იგი თანდათან გზას იკაფავს საქართველოში დამკვიდრებისათვის, მაგრამ ჯერჯერობით უძლურია ქართული საეკლესიო ტრადიციის წინაშე, რომლის მიხედვითაც აღნიშნულ დღესასწაულს ყველგან „სულთმოფენობად" მოიხსენებენ.

ვფიქრობთ, რუსულ საეკლესიო ტრადიციებთან ზიარებული ზოგიერთი სწავლულის მცდელობა — ქართულ ეკლესიაში გადმონერგოს ეს წმინდა რუსული ტერმინი, გამართლებული არ უნდა იყოს.

„სულთმოფენობა" და „მარტვილია" დღესასწაულის არსის მაჩვენებელი უძველესი ტერმინებია. საეკლესიო პრაქტიკაშიც სწორედ ისინი უნდა იხმარებოდეს.

**ევ. ძლოველი**



# სულთმოფენობის ხალხური წეს-ჩვეულებები

საეკლესიო დღესასწაული სულიწმიდის გარდამოსვლა „სულთმოფენობა" „მოძრავი" დღეობაა და მოდის აღდგომიდან ორმოცდამეათე დღეს (ამაღლებიდან მეათე დღეს). ეკლესიაში ამავე დღეს აღინიშნება სამებობა. ქრისტიანულ თეოლოგიურ წარმოდგენებში სამება და ერთარსება სამ სახეში (მამის, ძისა და სულიწმიდის სახეში) გამოვლენილი ღმერთია. სამების მესამე წევრი, ცხოველმყოფელური საწყისი, სულიწმიდა, ზოგიერთ ენაში მამაკაცურ საწყისადაა გააზრებული, ზოგში როგორც ქალური საწყისი, ქართული ხალხური პერცეფციით სული წმინდა ქალური საწყისისაა და იგი გაიგივებულია მარიამ ღვთისმშობლის სახესთან.

აღნიშნულ დღეს აღმოსავლური, ორთოდოქსული ეკლესიები ირთვება მწვანე ტოტებითა და ყვავილებით (ეს ჩვეულება იუდეველთაგან გავრცელდა ჩვენში). ასევე ირთვება საცხოვრებელი სახლები, ეზოები და გზაჯვარედინები.

საქართველოში სულიწმიდის გარდამოსვლა (სულთმოფენობა) რამოდენიმე სახელითაა ცნობილი, კერძოდ ტირიფობის (ტილიფობის, ტიიფობის — სამეგრელო, იმერეთი), ვარდის მოფენის ტაბლაობის სულფენიობის (აღმოსავლეთ საქართველოს ბარი) და სხვა სახელით. დღესასწაული წმინდად საეკლესიოა და რაიმე განსაკუთრებული ხალხური წეს-ჩვეულებით არ გამოირჩევა. ხალხს აქცენტი მიცვალებულის თაყვანისცემაზე აქვს გადატანილი და ეს დღეობა მიცვალებულის დიდ სალოცავად ითვლება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულთმოფენობის წინა დღეს, შაბათს, სულის შაბათს, სულთას, (ხალხში გავრცელებული სახელებით: სუნთობას, ვარდის შაბათს, ხალარჯობას და სხვ). საქართველოს სხვადასხვა კუთხეში კეთდებოდა საკურთხი (ე. წ. ტირიფობის საკურთხი). საკურთხისთვის აუცილებლად კეთდებოდა წანდილი (თაფლით და ნიგვზით შეზავებული მოხარშული ხორბალი) და რიგდებოდა მეზობლებში.

ძველად სამეგრელოში აღნიშნულ დღეს მჭადის მჭადს მოხარშავდნენ, მარილით შეაზავებდნენ და თეფშით გარეთ გაიტანდნენ. გამვლელ-გამომვლელს, ყველას უმასპინძლდებოდნენ და დაალოცვინებდნენ მიცვალებულის სულს. გამვლელი იგემებდა შემოთავაზებულს, იტყოდა „აცხონოს თქვენი მიცვალებულიო" და გააგრძელებდა თავის გზას.

ხევსურეთში ახალი მიცვალებულის პატრონი ამ დღეს ლუდს ხარშავდა და მთელ სოფელს უმასპინძლდებოდა. საფლავზე პურ-მარილის გატანა იცოდნენ და მიცვალებულისთვის დოღის გამართვა. ფშავში — ვაჟკაცთა საფლავებზე შეკაზმული ცხენები ეპირა კაცს. ხევში — სულის შაბათი, ხალარჯობის სახელით ცნობილი, შედის იმ შვიდ აუცილებელ სუფრაში, რომელიც წლის განმავლობაში უნდა გაეკეთებინა ჭირისუფალს მიცვალებულისთვის.

იმერეთში იცოდნენ კენტი რაოდენობის ნიგვზიანი კოკრების (რიტუალური პურების) გამოცხობა. აღნიშნული კოკრები ზომით პატარები იყო. განსხვავებული სიდიდის იყო პირველი კოკორი, რომელიც ეკუთვნოდა ე. წ. „მეკრე-მებაჟეს" (ან მეკრე-მეზვრე-მებაჟეს). მას თავ-კოკორს ან პირდაპირ მეკრემებაჟეს უწოდებდნენ. მეკრე-მებაჟე საკურთხზე არ იდებოდა. მას ან შემოსწრებულ სტუმარს მიაწოდებდნენ ღვინოსთან ერთად, ან მისი გამომცხობელი და სულის მხსენებელი შეჭამდა.

ადგილობრივ რწმენა-წარმოდგენებში იკვეთება მეკრე-მებაჟის სახე: იგი დგას საიქიოსა და სააქაოს ზღურბლზე, კარებთან, (იგი კარების მცველია) მის ერთ-ერთ (მაგრამ არა ერთადერთ) ფუნქციას წარმოადგენს გაუშვას ან არ გაუშვას მიცვალებულისთვის განკუთვნილი შესაწირავი. იმისათვის რომ მან გაუშვა ეს უკანასკნელი კუთვნილ ადგილას, იგი თვითონ იღებს ბაჟს შეწირული პირველი თავ-კოკორის სახით. ამიტომ სულის მოხსენიების დროს იტყვიან, — ეს კოკორი თქვენ გქონდეთ და დანარჩენი ჩემ მიცვალებულს მიართვითო. საინტერესოა, რომ ბოლო კოკორიც არ იდება საკურთხზე. იგი იზილება ყველა კოკრის „ქიპიდან" მოწყვეტილი ცომით და განეკუთვნება, ადგილობრივთა თქმით, „დამიწებული, დავიწყებული, წყალში დამხრჩვალი ან დამწვარი მიცვალებულისათვის". მას ბავშვებს (აუცილებლად მონათლულებს) ან შემოსწრებულ სტუმრებს მიაწოდებდნენ.

საკურთხისთვის იცოდნენ აგრეთვე ფლავის მოხარშვა და აუცილებლად იდებოდა ყველანაირი ახლად შემოსული ხილი. ახალი გარდაცვლილისთვის იკვლებოდა ბატკანი კახეთში. „სიბანს" (სამი ნეკნი და თირკმელი) სასაფლაოზე გაიტანდნენ, დანარჩენს სახლში დატოვებდნენ სტუმრებისთვის.

მეორე დღეს, სულთმოფენობის კვირას, დილით ადრე ყვავილებით (უმეტესწილად ვარდებით) და ტირიფის ტოტებით გავიდოდნენ სასაფლაოზე და გარდაცვლილის საფლავზე გაშლიდნენ. ზოგს ყველანაირი ხეხილის ტოტი მიჰქონდა, ზოგს მუხის ტოტები, ერთ ჩარექ ღვინოს და ერთ ჩარექ წყალს დაასხამდნენ საფლავზე. ადგილობრივი რწმენა-წარმოდგენების მიხედვით, „როგორც ამ ქვეყნად დააფენდნენ ტოტებს, იმნაირად ექნებოდა მიცვალებულს ხეხილი და ყვავილი იმ ქვეყანაზე"; ამგვარად ეს ჩვეულება გამიზნული იყო იმისთვის, რათა მიცვალებული უზრუნველეყოთ საიქიოში ჩრდილით, წყლით, სიგრილით, ყვავილნარითა და ხეხილით.

სულთმოფენობის დღესასწაულის სიმბოლოები იყო აყვავებული ვარდები და ტირიფის შტოები. ამ „მწვანე დღესასწაულით" სრულდებოდა გაზაფხულის დღეობათა ციკლი და იწყებოდა ზაფხულის დღეობების პერიოდი.

**ნინო აბაკელია**

## პრობლემა

# პრივატიზაცია, „საქმიანი ბიჭები" და ძველი სამეურნეო ფუნქციონერები

**საქართველოში** მიმდინარე პოლიტიკური პროცესები გვიჩვენებს, რომ საჭიროა დაჩქარდეს ეკონომიკის გადასვლა ახალ სისტემაზე, სადაც საბაზრო ეკონომიკა იქცევა მისი განვითარების წამყვან ფორმად. საქართველოს ეროვნული მთავრობის მიერ გატარებული რეფორმების დიდი ნაწილი, მართალია, მიმართულია კერძო საკუთრების მხარდასაჭერად და საბაზრო კონკურენციის წასახალისებლად, მაგრამ არსებული ეკონომიკური სისტემის საბოლოო დემონტაჟი და ახლის დამკვიდრება შეუძლებელია მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში საკუთრების განსახელმწიფოებრიობის, ანუ პრივატიზაციის გარეშე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყოველგვარ ქონებას მოკლებული საზოგადოების დიდი უმეტესობა საბაზრო ეკონომიკის პასიური მონაწილე იქნება და ნაცვლად მწარმოებლისა მას მხოლოდ მი პარტიულ-საბჭოთა ფუნქციონერები და სამართალდამცავი ორგანოები კისრულობდნენ, ახლა იგი ქუჩის უხეშმა რეკეტმა შეცვალა, რომელსაც მუდმივი ტერორის ქვეშ ჰყავს მთელი საზოგადოება და ნამდვილ საქმიან ბიზნესში პატიოსანი ადამიანების ჩაბმა შეუძლებელი ხდება.

საქართველოში შექმნილმა პოლიტიკურმა სიტუაციამ და განსაკუთრებით ეროვნული მთავრობის მოსვლამ, საშიშროების წინაშე დააყენა „საქმიანი ბიჭების" შემდგომი არსებობის საკითხი. მართალია, ისინი ჯერჯერობით გადამწყვეტი ბრძოლის მეთოდებზე აშკარად ვერ გადადიან, მაგრამ თავის გადარჩენისათვის არაფერს არ თაკილობენ. სასწრაფოდ შეიმუშავეს მოქმედების ახალი სტრატეგიული და ტაქტიკური გზები. ზოგი ეროვნულ მოძრაობას მიეტმასნა და თავის ფულის დასტებზე ეროვნული დრო-

შედეგად გამოწვეული საშტატო ერთეულთა შემცირების საბაბით სამსახურიდან ჰყრიან და ულუკმაპუროდ ტოვებენ ათასობით თანამემამულეს; ცხადია, პირველ რიგში მათ, ვინც ხმას აიმაღლებს უსამართლობის წინააღმდეგ. დამცველი კი არავინაა, არც პროფკავშირი და არც სასამართლო, რადგან უკვე ძალაში შევიდა ჯერ კიდევ ოფიციალურად დაუკანონებელი საბაზრო ეკონომიკის კანონები. არადა, ამ ადამიანებს პრივატიზაციის გატარებით ხომ უპირატესობა მიენიჭებოდათ საწარმოდან თავიანთი წილის მიღებაში.

ზემოდან კონტროლს მოკლებული, პირად შემოსავალს დახარბებული, საწარმოს ეს ხელმძღვანელები, აჩერებენ ასეული ათასობით მანეთის ღირებულების საწარმოო საშუალებებს, ათავისუფლებენ ათასობით კვადრატულ მეტრ საწარმოო ფართებს. ყოველივე ამის და-

მომხმარებლისა და მომსახურის ფუნქციები დაეკისრება. დაუყოვნებლივ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შემთხვევაში ქვეყნის საწარმოო ძალების მფლობელები გახდებიან ადამიანები, რომლებმაც ჩრდილოვანი ეკონომიკის პერიოდში სხვადასხვა არაკანონიერი გზით შეძლეს ხალხის კუთვნილი და ძალით გასახელმწიფოებული ქონების მითვისება. ამ ადამიანთა დიდ ნაწილს კი არაფერი საერთო არ აქვს ნამდვილ საქმესა და ბიზნესთან. ისინი უბრალოდ ქურდები, თაღლითები და თავხედი ადამიანები არიან. მათ საქართველოში „საქმიან ბიჭებს", ანუ უბრალოდ „საქმოსნებს" ეძახიან. რადგან ამ ადამიანთა გარკვეული კლანის წარმოშობა კომუნისტური დიქტატურის პერიოდის სოციალისტურ წყობასთანაა დაკავშირებული, იდეოლოგიაც მისივე მსგავსად ინტერნაციონალური აქვს. მათთვის უცხოა ჭეშმარიტი პატრიოტიზმი და ნაციონალიზმი, თითსაც კი არ გაანძრევენ სამშობლოსა და ერისათვის, თუ ეკონომიკურ სარგებელს არ მიიღებენ. ეს ადამიანები ეკონომიკის კანონებზე „მწყრალად" არიან. კალმა რომ თქვას, არც სჭირდებათ, საერთო დეფიციტის პირობებში მხოლოდ და მხოლოდ ხომ „სპეკულიანტური" ნიჭია საჭირო.

სრული პრივატიზაციის გატარების გარეშე საზოგადოებასა და „საქმიან ბიჭებს" შორის მოხდება სოციალურ-ეკონომიკური დაპირისპირება, რაც გავლენას იქონიებს მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე და დამღუპველ როლს შეასრულებს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. „საქმოსნები" საბაზრო ეკონომიკის პირობებში, თავისი უვიცობის გამო, განვითარების ნაცვლად შეაფერხებენ ქვეყნის ეკონომიკას, ვერ შეძლებენ პარტნიორობა გაუწიონ მსოფლიოს საქმიან წრეებს და ყველაფერს იღონებენ იმისათვის, რომ საქართველომ თავი ვერ დააღწიოს რუსეთის იმპერიას. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ღატაკი საზოგადოება ვერავითარ წინააღმდეგობას ვერ გაუწევს მათ და უფრო მეტიც, შესაძლებელია მისი გარკვეული ნაწილი, ნებსით თუ უნებლიედ, პოლიტიკური თვალსაზრისით მათ მხარეს აღმოჩნდეს. „საქმოსნებს" ბუნება მგლისა აქვთ და თუმცა დღეს პატარ-პატარა ჯგუფებად მოქმედებენ, ნებისმიერ მომენტში შეუძლიათ ხროვად გაერთიანდნენ. რადგან რეკეტი უკანონო ბიზნესის განუყოფელი ნაწილია და ადრე თუ მის როლს კაბინეტებში მსხდომები ააფრიალა. ზოგმა რომელიმე პარტიის ან საზოგადოების სახელით შეაკოწიწა „წარმოება", რომლის საქმიანობით მიღებული მოგების ნაწილს ამ პარტიის ან საზოგადოების დასაფინანსებლად იყენებს და ნებსით თუ უნებლიედ, ეს პოლიტიკური ორგანიზაციები, რომლებიც მათ მფარველობენ, გარკვეული ფორმის რეკეტის როლს ასრულებენ. უმეტესობამ ძველი მოკავშირეები, სამეურნეო ფუნქციონერები მოძებნა და მათთან დაამყარა კავშირი. ძმაკაცობით და ნათლიმამობით თავის დროზე „ხელმძღვანელ მუშაკებად" აღზევებულმა დირექტორებმა და უფროსებმა თავიანთი საწარმოების ბაზებზე შექმნეს ათასგვარი კოოპერატივები და მცირე საწარმოები, რომლებსაც ფაქტიურ განმგებლებად „საქმიანი ბიჭები" ჩაუყენეს სათავეში და ამ გზით შეივსეს თავიანთი უკანონო ბიუჯეტის ის ნაწილი, რომელიც დემოკრატიულმა გარდაქმნებმა წაართვა.

ცხადია, ძველ სამეურნეო ფუნქციონერთა საბოლოო გადარჩენა შეუძლებელია. მათი გაქრობისათვის მხოლოდ დროა საჭირო, მაგრამ თავიანთი არსებობის დროის გახანგრძლივებისა და მატერიალური მდგომარეობის შენარჩუნებისათვის ბრძოლას აგრძელებენ. შეიძლება სამშობლოს თავისუფლება უნდათ, მაგრამ მიღებულ პრივილეგიათა დაკარგვა არ სურთ. ნებსით თუ უნებლიედ, მათი მოქმედება და საქმიანობა დღეისათვის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის აშკარა საბოტაჟის სახეს ღებულობს. სარგებლობენ რა, ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობით, საწარმოო კავშირების დარღვევით, მასალისა და ენერგეტიკული რესურსების დეფიციტით, მაკონტროლებელ ორგანოთა შემცირება-ლიკვიდაციით და რუსეთში მომარაგება-გასაღების საქმიანობის შეზღუდვებით, ძველი, ერთიანი სახელმწიფო მაფიის ეს უპატრონოდ მიტოვებული წევრები ნაცვლად იმისა, რომ მთელი ძალები წარმართონ საწარმოთა არსებულ პირობებში მუშაობის შესაგუებლად და საწარმოო დონის შესანარჩუნებლად, ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ზემდგომ ორგანოებს დაუსაბუთონ წარმოების არარენტაბელობა და გეგმის შესრულების შეუძლებლობა. თავიანთი მოქმედების პირველ ეტაპზე „ახერხებენ" გეგმებისა და გამოშვებული პროდუქციის რაოდენობის შემცირებას. საწარმოო გეგმების შემცირების კანონების და კოლექტივის სათანადო ფსიქოლოგიური დამუშავება-შეგუების შემდეგ იყენებენ ბრძოლის მეორე ეტაპს. „საქმიან ბიჭებთან" ერთად იჩენენ ინიციატივას, საწარმოს ევლინებიან მხსნელებად, სწრაფად ითვისებენ შენობა-ნაგებობებსა და გამოთავისუფლებულ სიმძლავრეებს, ამავე საწარმოთა სახელით აყალიბებენ კოოპერატივებსა და მცირე საწარმოებს ანდა უბრალოდ ე. წ. „კოლექტიური" არენდის საშუალებით, ფაქტობრივად, ეპატრონებიან მათ. მათთვის სწრაფად იხსნება საწარმოს ძველი მომარაგება-გასაღების ის არხები, რომლებიც მათივე ხელშეწყობით იყო დახურული. მიუხედავად იმისა, რომ საწარმოს გამოშვებული პროდუქციის მოცულობა შესამჩნევად მცირდება, „ხელმძღვანელ მუშაკთა" შემოსავალი ათკეცდება. „საქმოსნები", საწარმოთა „ხელმძღვანელობის" ხელშეწყობით, იოლად ახერხებენ, ამ საწარმოებისათვის ლიმიტით გამოყოფილი დანადგარების და მოწყობილობების მიღებას. ცხადია, ოფიციალურ ღირებულებას იხდის საწარმო (ზოგჯერ ვალუტით), რაც კიდევ უფრო აუარესებს ისედაც ძალაგამოცლილ მის ფინანსურ მდგომარეობას. საქმის „ჩაწყობისათვის" საჭირო თანხაზე და სხვა ორგანიზაციულ საკითხებზე პასუხისმგებლობას კისრულობს „საქმოსანი". საბაზისო საწარმო ვერაფერს ღებულობს; სამაგიეროდ ამ მანქანა-მექანიზმების და დანადგარების ექსპლოატაციით მიღებული მოგებიდან „საქმოსანი" მოზრდილ, ხოლო ხელმძღვანელი მომცრო წილს ძმურად ინაწილებენ. „საქმოსნები" იოლად ახერხებენ საბაზისო საწარმოს კვალიფიცირებული ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის და მუშების გადაბირებას. წარსული ცხოვრებით დაბეჩავებული და მატერიალურად ხელმოკლე ადამიანები იძულებულნი არიან გაჩუმდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ იოლად მოიცილებენ თავიდან. ადამიანები, რომელთა ათეული წლის შრომითაც შეიქმნა ეს ქონება და რომელთა კეთილდღეობასაც უნდა მომსახურებოდა იგი, ხმას ვერ იღებენ თავის დასაცავად. გაძარცვული და დამცირებულია ხალხი, რომელიც ეროვნული მოძრაობის ძირითადი საყრდენია.

ყოველივე ზემოთ ნათქვამი განსაკუთრებით მწვავე სახეს ღებულობს ე. წ. საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებში. მათი ხელმძღვანელები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ რესპუბლიკის ხელმძღვანელობას დაუსაბუთონ ამ საწარმოთა საკავშირო დაქვემდებარებიდან გამოსვლის შეუძლებლობა. სარგებლობენ რა იმით, რომ აღარ არსებობს არავითარი კონტროლი (ადმინისტრაციული, მატერიალური და ფინანსური) აღარც ზემდგომი საკავშირო ორგანიზაციებიდან და არც ადგილობრივი ხელისუფლებიდან, თავს ამ საწარმოს სრულ ბატონ-პატრონად თვლიან. ოფიციალურად საჭირო მასალების, დანადგარების და მოწყობილობების „ცენტრიდან" მოუწოდებლობას ხსნიან რესპუბლიკაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების გამწვავებით, ხოლო პირად საუბრებში თავიანთ უძლურებას საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას აბრალებენ. იმაზე კი არაფერს ამბობენ, რომ სინამდვილეში, უმეტეს შემთხვევაში, ცენტრის ეს მოქმედება გამოწვეულია მათ მიერვე დაკანონებული მატერიალური „ხარკის" გადახდის შეწყვეტით.

ძველი ყაიდის ამ ფუნქციონერებმა კარგად იციან, რომ ეს ასე დიდხანს არ გაგრძელდება, ამიტომ ცდილობენ შექმნილ სიტუაციაში მაქსიმალურად მოითბონ ხელი. ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ერთ დროს მძლავრი საწარმოდან საქართველოს აღარაფერი დარჩეს. მათი გაანგარიშება მარტივია: საწარმოს დაკნინების, დაშლის და დანაწევრების შედეგად რაიმეს შენარჩუნების შანსი იზრდება, თუ არა და მათ შემდეგ „ქვა ქვაზეც დადუღებულა". მათ ასეთ მოქმედებას, თავისუფალი საქართველოს ეკონომიკის საბოტაჟის გარდა ვერაფერს დავარქმევთ.

საქართველოს მთავრობამ დაუყოვნებლივ რაღაც უნდა იღონოს ამ უკანონობის წინააღმდეგ. ცხადია, დღევანდელ პირობებში „საქმიან ბიჭებს" და შემორჩენილ ძველ სამეურნეო ფუნქციონერებს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას ვერ გამოვუცხადებთ, რადგანაც ჯერ ერთი, საბოლოო გამარჯვება შეუძლებელია და მეორეც, შეიძლება ამ ეტაპზე, რადგანაც ქვეყანა ეკონომიკური ბლოკადის პირობებშია, მათი საქმიანობის სრული ლიკვიდაცია საჭიროც არ იყოს.

შექმნილ მდგომარეობაში საჭიროდ მიგვაჩნია გატარდეს შემდეგი ღონისძიება:

საქართველოს მთავრობის დაქვემდებარებაში შეიქმნას სპეციალური კომისია, ეკონომისტების, იურისტების და თავისუფალი პროფკავშირის წარმომადგენელთა შემადგენლობით. კომისია შეამოწმებს და შეისწავლის ყველა იმ საწარმოს სამეურნეო საქმიანობას, რომლებმაც მკვეთრად შეამცირეს გამოშვებული პროდუქციის მოცულობა. დაადგენს შექმნილი მდგომარეობის ნამდვილ მიზეზებს, გაატარებს ღონისძიებებს ამ მიზეზების აღმოსაფხვრელად, დაიცავს საბაზისო საწარმოთა თანამშრომლების უფლებებს, საჭიროების შემთხვევაში შეცვლის საწარმოთა ხელმძღვანელობას. შეამოწმებს და შეისწავლის საწარმოებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან შექმნილი კოოპერატივებისა და მცირე საწარმოების (კოლექტიურ იჯარაზე გადასული საწარმოების ჩათვლით) საქმიანობას. კანონით აკრძალავს იმ კოოპერატივთა და მცირე საწარმოთა საქმიანობას, რომლებიც უშვებენ იგივე პროდუქციას, რასაც ამზადებს საბაზისო საწარმო და სარგებლობს მისი საწარმოო სიმძლავრეებით. იმ შემთხვევაში, როდესაც დასაბუთდება კოოპერატივების და მცირე საწარმოების არსებობის მიზანშეწონილობა, დასახავს ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ საბაზისო კოლექტივების მატერიალურ დაცვას და მშრომელი კოლექტივის საშტატო ერთეულების შენარჩუნებას. მკაცრ კონტროლს დააწესებენ გამოშვებული პროდუქციის რაოდენობასა და დაბეგვრის სიდიდეზე. განსაზღვრავს საბაზისო საწარმოს სასარგებლოდ საკომპენსაციო თანხის სიდიდეს გამოყენებული საწარმოო საშუალების ექსპლოატაციაზე, კოოპერატივებისა და მცირე საწარმოების სუფთა მოგებიდან.

**ჟელა ხადუნიშვილი**

**სტუ-ს სამშენებლო წარმოების ორგანიზაციისა და ეკონომიკის კათედრის დოცენტი**

## ეკონომიკა



# მირდატ IV

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ფარსმანის გარდაცვალების შემდეგ „დაჯდა მეფედ ძმა მისი მირდატ, ასულის წული თრდატისი, ძე ვარზა-ბაქარისი, მამულად ბაქარ-რიანი და დედულად რევიანი; ორთავე მირიანის ძეთა ნათესავი იყო ესე მირდატ“. მირდატ IV მეფობდა ქრისტეს დაბადებიდან V საუკუნის პირველ მეოთხედში, იყო ქართლის (იბერიის) მეშვიდე ქრისტიანი ხელმწიფე.

მემატიანე მეფე მირდატს შემდეგნაირად ახასიათებს — „კაცი ქუველი, მხედარი, შემმართებელი, ურწმუნო, უშიში ღმრთისა, ლაღი და ამპარტავანი, მინდობილი მხედრობისა მისისა. არა მსახურა ღმერთსა, არცა აღაშენა ეკლესია და არცარა მატა შენებულთა“.

ქართლის სამეფო IV საუკუნის მეორე ნახევრიდან, მირდატის მამის, ვარაზ-ბაქარის დროიდან, მძიმე მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი. ამიერკავკასიაში ირანი ბატონობდა, ამასთან ერთად, ჩვენი ქვეყნის ერთი ნაწილი ბიზანტიას ექვემდებარებოდა. მირდატ მეფე ებრძოდა როგორც სპარსელებს, ასევე ბიზანტიელებს — „...სილაღითა მისითა მტერ ექმნა ბერძენთა და სპარსთა; ბერძენთაგან ეძიებდა კლარჯეთს, საზღვარსა ქართლისასა, ხოლო სპარსთა არა მისცემდა ხარკსა“. ირანის შაჰს მირდატის წინააღმდეგ დიდი ლაშქარი გამოუგზავნია, „მაშინ სპარსთა მეფემან გაგზავნა ერისთავი, რომელსა ერქუა უფროჲ, სპითა ძლიერითა, მირდატს ზედა“. მირდატი არ შეუშინდა მტერს, „ხოლო სილაღითა მისითა არა დარიდა სიმრავლესა სპარსთასა, მცირედითა სპითა მიეგება გარდაბანს და ეწყო...“ გაიმართა ბრძოლა, ქართველები დამარცხდნენ. მირდატი ტყვედ ჩავარდა, „იოტეს და შეიპყრეს სპარსთა“. ქვეყანა სპარსელებს დარჩათ, მეფე მირდატმა ცხოვრება ტრაგიკულად დაასრულა — „ხოლო მირდატ წარიყვანეს ბაღდადს და მუნ მოკუდა“.

მატიანეში აღწერილი ეს ამბავი შეიძლება დათარიღდეს V ს. 20-იანი წლების დასაწყისით, როდესაც წარმოებდა ირან-ბიზანტიის ომი. სწორედ ამ დროს შეეძლო მირდატს ბრძოლა ორივე მტრის წინააღმდეგ. მაგრამ, როგორც ჩანს, ბიზანტიელებთან ომის დამთავრების შემდეგ, ირანელებმა ისევ მოიცალეს ქართლისათვის. უმეფოდ დარჩენილ, დაპყრობილ ქვეყანაში ცეცხლთაყვანისმცემლობის გავრცელება დაიწყეს — „დაიპყრეს ქართლი სპარსთა, განრყუნეს ეკლესიანი, და დამალეს ჯუარები ქართველთა, და ყოველთა შინა ეკლესიათა სპარსთა ცეცხლის მსახურთა აღაგზნეს ცეცხლი“. ქართლის სამეფო-საგვარეულო გაიხიზნა და სამი წლის შემდეგ, როდესაც „უცალო იქმნა სპარსთა მეფე, რამეთუ აღდგა მტერი აღმოსავლეთით“. ქართლის აზნაურებმა „მოიყვანეს და დასუეს მცხეთას მეფედ ძე თრდატის, ძმისწული მირდატის, წარტყუენულისა, სახელით არჩილ“.

უშანგ ოზოლაძის ნახატი

## წერილი რედაქციას

# მიზეზი კი ალბათ უფრო ღრმაა

ჩვენს ქვეყანაში პირველად ტარდება საპრეზიდენტო არჩევნები, ამიტომ წინასაარჩევნო კამპანიის ცოდნა-გამოცდილებით დიდად ვერ დავიკვეხნით, თუმცა ზოგადი წარმოდგენა ამ პროცედურის შესახებ ბევრ ჩვენგანს აქვს და ვფიქრობთ, დღევანდელი საქართველოს პოლიტიკური სურათი, სრულიად ამოვარდნილია საყოველთაოდ აღიარებული წინასაარჩევნო კამპანიის ნორმებიდან. პატივცემულ პრეზიდენტობის კანდიდატებს და მათ ნდობით აღჭურვილ პირთ, სრულიად უგულებელუყვიათ წინასაარჩევნო კამპანიის ისეთი მნიშვნელოვანი მომენტი, როგორიც არის საკუთარი პროგრამისა თუ სამომავლო პროექტის შემოთავაზება-განხილვა. სტეთერო დრო, პირველი წუთიდან უკანასკნელამდე, მხოლოდ ბატონ ზვიად გამსახურდიას განქიქებას, მისი მოღვაწეობის გაბიაბრუებას და მისი პიროვნების ლაფში ამოსვრას ეთმობა. კეთილი, მაგრამ ოპოზიციის როლი მხოლოდ უარყოფითის დანახვასა და გამომზეურებაში რომ არ მდგომარეობს, მისი მთავარი ფუნქცია ხომ განსხვავებული პოზიციისა თუ პოლიტიკური გზის არსებობას და საზოგადოებამდე ამ შეხედულებათა მიტანასა და წარმოჩენას გულისხმობს. სამწუხაროა, მაგრამ ზვიად გამსახურდიას ერთ მუშტად შეკრულ მოწინააღმდეგეებს ეს ანბანური ჭეშმარიტება დავიწყებიათ და ისე იქცევიან, თითქოს ამ პატივცემულ ადამიანებს თავიანთი კანდიდატურის ამ პოსტზე წამოყენება მხოლოდ უღირსი მიზნის სისრულეში მოსაყვანად დასჭირვებიათ. ერთი კი გასაკვირია, კერძოდ ის, რომ პრეზიდენტობის კანდიდატების ნდობით აღჭურვილ პირთა შორის მრავლად არიან ფსიქოლოგია-ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატები და დოქტორები, ნუთუ ისინი მაინც ვერ ხვდებიან, რომ ერთი ადამიანის მიმართ განხორციელებული ამგვარი მასირებული იერიშები, როგორც წესი, საზოგადოებაში იწვევს სამართლიან უკურეაქციას? ნუთუ არ ესმით, რომ ულოგიკობამდე მისული ლანძღვა-გინება მხოლოდ მათ წინააღმდეგ მოქმედებს? ჩვენის აზრით, ასეთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური ბრძოლის დროს, ალბათ, ფსიქოლოგიური ფაქტორიც აუცილებლად გასათვალისწინებელია. დიდად სამწუხაროა, მაგრამ ერთი რამ აშკარაა — წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილე ყველა პიროვნება ერთ არსებით, ძირეულ იდეას გაუერთიანებია, კერძოდ, ვინც გინდა იყოს საქართველოს პრეზიდენტი, ოღონდ არა ზვიად გამსახურდია, ყველაზე საოცარი კი ის გახლავთ, რომ ეს ადამიანები, რომელნიც დღეს ასე თავგანწირვით იცავენ საქართველოს ზვიად გამსახურდიასა და მისი დიქტატურისაგან, გუშინ ჯაბა იოსელიანის ქომაგებად მოგვევლინენ, მისდამი მიტევებისა და შემწყნარებლობისკენ მოგვიწოდებდნენ. სად არის ლოგიკა, მეგობრებო? სად არის თქვენი ნაქები ქრისტიანული შემწყნარებლობა? თუ შემწყნარებლობა ისეთი რამაა, რაც ერთ პიროვნებასთან მიმართებაში მისაღებია, ხოლო მეორეს მიმართ არა? სად გაქრა ინტელიგენციისთვის დამახასიათებელი სამართლიანობა და ჰუმანისტური იდეალები? თუმცა, რომელ იდეალებზეა ლაპარაკი, როდესაც კომუნისტური რეჟიმი უფრო დემოკრატიული და მისაღები გეჩვენებათ, ვიდრე თავისუფლებისთვის მებრძოლი ხელისუფლება, რომელსაც შოვინისტურ-ნაციონალისტურს უწოდებთ. ფარატინა ქაღალდიაო, რომ ეძახით საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს, მთელი საქართველოს სამომავლო იმედს, გაქვთ ამის უფლება? გაქვთ უფლება ერს წაართვათ მომავლის რწმენა? და სანაცვლოდ რას თავაზობთ, საინტერესოა? თქვენ ხომ შესანიშნავად გესმით, რომ ეს იურიდიული დოკუმენტი გახლავთ და არა ფაქტობრივი დამოუკიდებლობის აღიარების დეკლარაცია, მაშ რაში გჭირდებათ ამ ფაქტით ჟონგლიორობა?

ერთი რამ ცხადი და გასათვალისწინებელია, ძვირფასო მეგობრებო, მოგვწონს ჩვენ ეს თუ არა, დღეს საქართველო მიყვება ზვიად გამსახურდიას, ენდობა და გულწრფელად უყვარს იგი, თუკი ქართველი ერი შემცდარია თავის არჩევანში, ამას დრო გვიჩვენებს, ჩვენ კი შევეცადოთ, რომ პირად ბოღმასა და ღვარძლს ნუ გადავაყოლებთ მთელი საქართველოს მომავალს.

თ. მძინარაშვილი

# საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლექსიკონი

ბიბლიოთეკა

## ნაციონალიზმი

დრონი იცვლებიან და მასთან ერთად იცვლება ცალკეულ სიტყვათა შინაარსი. ეს ეხება ნაციონალიზმსაც. მისი ტრადიციული შინაარსი დღეს გარკვეულ ცვლილებებს განიცდის სხვადასხვა სოციალური ფაქტორების გავლენით და, ალბათ, ინტერესმოკლებული არ იქნება მისი გაცნობიერება ორი განსხვავებული თვალთახედვით.

საბჭოური იდეოლოგიით გაზრდილი პიროვნებისთვის ნაციონალიზმი მხოლოდ სალანძღავი სიტყვაა. ზოგად და სპეციალურ ლექსიკონებში, ენციკლოპედიებში და სხვ. იგი ახსნილია როგორც რეაქციული ბურჟუაზიული იდეოლოგია და პოლიტიკა, რომლის მიზანია ეროვნული შუღლის გაღვივება. საზოგადოებრივ ფსიქოლოგიაში ეს სიტყვა მტკიცედ დამკვიდრდა უარყოფითი შინაარსით და, სამწუხაროდ, უცნობია ის ობიექტური შინაარსი, რაც ტერმინ ნაციონალიზმში იგულისხმება ამ უარყოფითის გარდა. მას უნდა ჩამოსცილდეს ის სამოსელი, რითაც ის საბჭოურმა იდეოლოგიამ შემოსა და იმ მნიშვნელობით მივიღოთ, როგორც ცივილიზებულ სამყაროშია მიღებული. ასე რომ, მხოლოდ საბჭოთა ლექსიკონებში ჩახედვა შეიძლება დეზინფორმაციის წყაროდ იქცეს. მეორე მხარესაც უნდა მოვუსმინოთ.

ფრანგული ლარუსის განმარტებით ლექსიკონში „ნაციონალიზმი“ ასეა განმარტებული: „ნაციონალიზმი არის გარკვეული უპირატესობის მინიჭება ყველაფერ იმაზე, რაც იმ ერს ახასიათებს, რომელსაც მიეკუთვნებიან; პოლიტიკური პარტია, რომელიც გმობს იმ თეორიასა და სახელმწიფო ინსტიტუტებს, რომელთა საფუძველიც ეროვნული ტრადიცია არ არის; დამონებულ ერთა მოთხოვნა. ნაციონალისტი კი არის ნაციონალიზმის მომხრე“.

გერმანულ სოციოლოგიურ ლექსიკონში ნაციონალიზმი გაგებულია როგორც გადაჭარბებული ეროვნული ცნობიერება.

ამერიკული სოციალურ მეცნიერებათა ენციკლოპედიის მიხედვით ნაციონალიზმი არის ეროვნული ფაქტორის პრიორიტეტის აღიარება საზოგადოების განვითარებაში და არა მაგ. კლასობრივი ფაქტორისა, რასაც საბჭოთა მარქსისტული იდეოლოგია აღიარებდა.

ნაციონალიზმი არის დოქტრინა, რომლის მიხედვითაც ერი და სახელმწიფო ერთმანეთს უნდა ემთხვეოდეს (ქართველი ერი — ქართული სახელმწიფო). ჩვეულებრივ, ეროვნული სახელმწიფო არის იდეალი. ის არის ბუნებრივი, ნორმალური პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმა, ყველა სოციალური, ეკონომიკური, კულტურული საქმიანობისათვის აუცილებელი შენობა.

ნაციონალიზმი, როგორც სოციალური მოვლენა, XIX საუკუნეში აღმოცენდა ჩრდილო-დასავლეთ ევროპაში და ჩრდილო ამერიკაში. იგი სწრაფად გავრცელდა მთელ დედამიწაზე და XX საუკუნის შუა ხანიდან თანამედროვე ისტორიის უნივერსალურ იდეად იქცა — როდესაც ისტორია ევროპულიდან გლობალურ ბაზისზე გადავიდა ევროპული ნაციონალიზმი პან-ნაციონალიზმად გადაიქცა. ის აისახა სხვადასხვა, მათ შორის — ოპოზიციურ იდეოლოგიებში — დემოკრატიაში, ფაშიზმში, კომუნიზმში.

XIX საუკუნეში მკვეთრად განსხვავდებოდნენ „ნაციონალიზმი“ და „სოციალიზმი“. XX საუკუნეში კი ნაციონალისტური მოძრაობა გადაიქცა სოციალისტურ მოძრაობად. სიტყვა სოციალიზმმა ბევრი ნაციონალისტური დებულება შეითვისა. ნაციონალიზმის გლობალურად გავრცელება არის არა დასავლური და პრე-თანამედროვე საზოგადოებათა ევროპეიზაციისა და მოდერნიზაციის შედეგი.

ნაციონალიზმი დადებით როლს თამაშობს ეროვნული კონსოლიდაციის და ეროვნული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებაში. ამ მიზნის მიღწევის შემდეგ იგი არ უნდა გადაიზარდოს სხვა ხალხების დამონების იარაღად. ნაციონალიზმი არ უნდა შეიცავდეს თავის თავში ეთნოცენტრიზმს.

საერთოდ, ნაციონალიზმმა პროგრესული როლი შეასრულა კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. ინდუსტრიულად სუსტად განვითარებულ და „მესამე სამყაროს“ ქვეყნებში ნაციონალიზმს დღეს აქვს სახელმწიფოებრივი იდენტურობის დამკვიდრების და სახელმწიფოს ყველა ძალების მობილიზაციის ფუნქცია ქვეყნის განსავითარებლად.

გენერალი დე გოლი, ჯავაჰარლალ ნერუ, ჩერჩილი და სხვანი ნაციონალისტებად ითვლებიან.

ნაციონალიზმი (აგრეთვე — შოვინიზმი) და რასიზმი ერთი და იგივე არ არის. მათ შორის პრინციპული განსხვავებებია. ნაციონალისტს თავისი სამშობლო ამოძრავებს, მაშინ, როდესაც რასისტს ზიზღი აქვს უცხო, განსაკუთრებით — მეზობელი ერისადმი. მას სხვა კულტურის გაგება და მიღება არ უნდა.

სიტყვა ნაციონალიზმის ეტიმოლოგია მოდის ლათინური სიტყვიდან „ნაციონ“, რაც ქართულად ერს ნიშნავს. ასე, რომ ნაციონალიზმის სინონიმად „ეროვნულობაც“ შეიძლება ვიხმაროთ. ამ ცნებაში უფრო მეტად ჩანს ის, რაც „ნაციონალიზმში“ არ ჩანს.

აქვე შევნიშნავთ, რომ დღეს ვინმე უცხოელი ნაციონალისტებად თუ მოგვიხსენიებს და ნაციონალიზმს „გვაბრალებს“, ისიც გავითვალისწინოთ, რომ მას ეს სიტყვა ოჟეგოვის „რუსული ენის განმარტებითი ლექსიკონიდან“ არ უსწავლია და ისე არ ესმის, როგორც ჩვენ და არც სალანძღავ და შეურაცხმყოფელ სიტყვად მიაჩნია.

ნაციონალიზმის უკიდურესი ფორმაა შოვინიზმი. შოვინიზმში იგულისხმება ეროვნული განსაკუთრებულობა-განკერძოებულობის იდეა; ავრცელებს სიძულვილს სხვა ერებისა და ხალხებისადმი. ქადაგებს „რჩეული“ ერის იდეას, რომელიც თითქოსდა სხვა „არასრულფასოვან“ ერებზე საბატონოდ იყოს მოვლენილი ღმერთის მიერ.

ლარუსის ლექსიკონის მიხედვით „შოვინიზმი არის ფანატიკური პატრიოტიზმი“.

შოვინიზმის სახეობაა დიდმპყრობელური შოვინიზმი, მრავალეროვნულ „დერჟავული“ სახელმწიფოს იდეოლოგია და პოლიტიკა. ამისი კლასიკური მაგალითია საბჭოთა კავშირი. რუსი იყო „პირველი თანასწორთა შორის“, უფროსი ძმა, ხოლო არარუსები — „თანასწორნი თანასწორთა შორის“. დიდმპყრობელური შოვინიზმი მრავალეროვან, კოლონიურ და იმპერიულ სახელმწიფოში ყალიბდება.

უკიდურესი შოვინიზმია **ჯინგოიზმი**, ტერმინი მოდის ვასული საუკუნის 70-იანი წლების პოპულარული ინგლისური სიმღერიდან, რომელშიც ნახმარია სიტყვა „ჯინგო“ (შოვინისტების მეტსახელი). გავრცელებულია ინგლისურენოვან ქვეყნებში, განსაკუთრებით — ამერიკაში.

ტერმინ „შოვინიზმს“ რაც შეეხება, იგი გაჩნდა 1831 წელს, როდესაც პარიზის თეატრებში იდგმებოდა პოპულარული პიესა „სამფეროვანი კოკარდა“. პიესის მოქმედი პირი იყო ნაპოლეონის დამპყრობლური პოლიტიკის თაყვანისმცემელი, ვეტერანი ჯარისკაცი ნიკოლა შოვენი. იგი აღფრთოვანებული იყო ნაპოლეონით, მას უკავშირებდა საფრანგეთის დიდებას. როგორც ამბობენ, ამ გმირს რეალური პროტოტიპი ჰყოლია. შემდგომ ხალხი ამ გმირს ადარებდა ყველა იმათ, ვინც სამხედრო მუნდირში გამოწყობილ ძლიერ პიროვნებაზე და სამშობლოს დიდებაზე ოცნებობდა. ნიკოლა შოვენის გვარის მიხედვით შეიქმნა და შემდგომ ფართოდ გავრცელდა სიტყვა შოვინიზმი.

ნოდარ კერესელიძე.

რედაქტორი მარიკა აბაიშვილი
სარედაქციო კოლეგია: ზვიად გამსახურდია, მუხრან მაჭავარიანი, თედო პაატაშვილი, გურამ პეტრიაშვილი, თემურ ჟორჟიკა, ნოდარ წულეისკირი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ვერის კოხტაგორის ქუჩა № 14, ტელეფონი 98-82-87

ინდექსი 66421

იბეჭდება ოფსეტური წესით ხოზარაშვილის ქუჩა № 29

ფასი 50 კაპ.